საერთო გაზეთი

№20 (659)
ოთხშაბათი
8 ივნისი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

ვახტანგ ხარჩილავა: ბერმუდის სამკუთხედი და მესამე



მამუკა არეშიძე: ახლა ნატოს კანდიდატობის წევრი რომ ვყოფილიყავით, ომი, პირველ რიგში, საქართველოში დაიწყებოდა

ვახტანგ ხომიზურაშვილი: ამ ფონზე სანქციების დაწესება თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება

გულბაათ რცხილაძე: დაუშვებელია საქართველოს ჩათრევა უკრაინის ომში, მაგრამ ამის მიღწევას მაინც ჯიუტად ცდილობენ ჩვენი მტრები და „მოყვრებიც“

დენიზა სუმბაძე: საქართველოში უნდა აღსდგეს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო !

მამა ბასილი: ვეჭვობ, რომ ზოგიერთებს ევროპა-ამერიკაში აღიზიანებთ მართლმადიდებლობა და ჩვენი რწმენა

სად ერეკლე პაპა, სად კიდე „ბაყაყა“ ლევანა?!

ალი ბაბაევი: უნდა მივიდეთ ოსებთან და აფხაზებთან და ვუთხრათ, რომ არაფერი გვაქვს გასაყოფი...

მისი „უპრინციპულესობა“ ანუ, ქალო, შედი „ბუტკაში“!

CNN: „აშშ-ის ადმინისტრაცია ქვეყნის ეკონომიკას კანალიზაციაში უშვებს“...

ბერმუდის სამკუთხედი და მესამე

ვახტანგ ხარჩილავა

ზარბაზნები არ ხოცავენ ადამიანებს, ადამიანები ხოცავენ ერთმანეთს.

ტანკები, ავტომატები, თვითმფრინავები, რაკეტები და ბომბები კი არ ანადგურებენ მიწასთან ქალაქებსა და სოფლებს, არამედ ადამიანები აჩანაგებენ და მუსრავენ ყველაფერს.

ბოროტების სათავე თავად ადამიანია, მაგრამ თავის დანაშაულს და ბოროტებას ეშმაკსა და სატანას აბრალებს და ღმერთს შეწყალებას სთხოვს.

ნეტავ, ამდენ პატიებულ და შეწყალებულ-შებრალებულ მკვლელს როგორ იტევს ზეცა და როცა ამდენი მკვლელის თვალი იყურება ცისკენ, მშვიდობას, ძმობას და თანაგრძნობას ვინ დაამყარებს დედამიწაზე?!

ჩინგიზ ხანები, ჰიტლერები, პინოჩეტები, თემურ ლენგები, ბოკასები, პოლპოტები მიდიან და მოდიან, რომ მათმა არმიებმა ადამიანები გაჟლიტონ.

ესენი დიდი, გრანდიოზული მასშტაბის მკვლელობის ხელმძღვანელობის მეთაურები და ორგანიზატორები არიან, რომლებიც ისეთი ნეტარებით აღიქვამენ ნანახ სურათს, თითქოს სადღესასწაულო პარადს უყურებდნენ.

მსოფლიოს შეშლილები, გიჟები, მანიაკები მართავდნენ ყოველთვის და ახლაც ასეა, მაგრამ კაცობრიობა მანამ ვერ მოისვენებს, ვიდრე მას შეშლილების კასტა არ ამოშლის სამყაროს სიიდან.

●

როცა რუსეთი უკრაინაში შეიჭრა, ნახევარმა მსოფლიომ განგაში ატეხა — უკრაინა იღუპება და მივეშველოთო.

ცოტა ადრე მიშველებოდნენ უკრაინას და ომისა და აგრესიისგან დაეფარათ, ის არ ჯობდა?

არმიებს არ ვგულისხმობ, პოლიტიკურ, დიპლომატიურ კავშირებს და სხვა სამშვიდობო ორგანიზაციებს (მათ შორის გაეროს) მოლაპარაკებების რეჟიმში აქტიურად ჩართვას იქნებ სასურველი შედეგი მიეღო და ეს საშინელი ომი არ დაწყებულიყო.

მაგრამ ომი დაიწყო და ის დაიწყო ყველასთვის — უკრაინისთვისაც, რუსეთისთვისაც, ევროპისთვისაც, ამერიკისთვისაც...

როგორც ჩანს, მხოლოდ რუსეთს არ სურდა ომის გაჩაღება, მაგრამ ის უნდოდა ვიღაც მესამეს, რომელმაც, ამჟამად, უკრაინა ამოარჩია რუსეთის წინააღმდეგ რჩეულ დუელიანტად.

ეს მესამე უკვე გაირკვა, ვინც იყო...

მან პირდაპირ განაცხადა, რომ სურდა რუსეთი უკრაინელთა ცოცხალი ძალით გაენადგურებინა და ამით ჩამოეცილებინა ნომერ პირველი კონკურენტი და მეტოქე.

მიუხედავად იმისა, რომ უამრავი სახელმწიფო დაეხმარა ფულით, სამხედრო ტექნიკით, რაკეტებით, საწვავო და სამხედრო ტექნიკით, ამასთან ერთად, ამერიკამ უამრავი ქონება და სიმდიდრე მილიარდობით დოლარი, ურიცხვი სამხედრო აღჭურვილობა ჩაყარა უკრაინაში, მაგრამ მაინც ვერაფერმა უშველა უკრაინელებს — მათი საქმე ისევ უკანუკან მიდის — უკრაინა სუსტდება, უძლურდება და ფარდაგივით ნელ-ნელა იკეცება, ხოლო რუსეთს არც დასუსტებისა ეტყობა რამე, არც გამოფიტვის, არც იარაღი ელევა და წინ გაბედულად და გამარჯვებულად მიდის.

ბატონი ზელენსკი დარწმუნებით იძახდნება, რომ სულ მალე აგრესორებს სასტიკად დაამარცხებს, მაგრამ არავინ იცის, როდის იქნება ეს სულ მალე — ერთი წლის შემდეგ, ორი წლის თუ არასოდეს?

ათეულობით სახელმწიფო ერთ სახელმწიფოს — რუსეთს უპირისპირდება ერთობლივი ძალით და მაინც ვერ გადატეხა წელში.

რა დასკვნა გამოვიტანოთ აქედან? ნუთუ ის, რომ რუსეთი ყველაზე ძლიერია ამ ერთად შეკრული და გაერთიანებული სახელმწიფოების წინაშე.

ვფიქრობ, ამგვარი აზრი მკრეხელური და უაზროა, რადგან შეუძლებელია ერთი ქვეყანა (რაც უნდა დიდი იყოს ის) ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს, კანადას და სხვა მრავალ სახელმწიფოს, ერთად გაერთიანებულს, მარტო ჯაბნიდეს.

ამერიკას და რუსეთს ერთი საოცარი სტრატეგია აქვთ — საომრად და საბრძოლველად სხვადასხვა ქვეყნების „მოედნებს“ ირჩევენ ხოლმე და იქ იბრძვიან.

რა დააშავა, მაგალითად, საბრძოლო ასპარეზად გადაკეთებულმა ქვეყანამ — რატომ ინგრევა და ილეწება ამერიკული და რუსული ბომბებისგან, რატომ იცხრილება რუსული და ამერიკული ავტომატებით ადგილობრივი მოსახლეობა, რატომ იქელება და ითელება ადგილობრივი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, რატომ გარბიან ადამიანები საკუთარი მიწიდან და სამშობლოდან?

— იმიტომ რომ, ორ ნავარჯიშევ ბუღას მათ მოედანზე ჭიდაობა მოუნდა.

კი, მაგრამ, არ ჯობია თქვენს სტადიონზე იჭიდაოთ და სხვები არ შეაწუხოთ?

აჰ, თქვენ თქვენი ქვეყანა, თქვენს მიერ აშენებული, დასანგრევად არ გემეტებათ და სხვის ქვეყანას იოლად იმეტებთ?

თქვენი სადარდებელი არ არის, ის რომ ვიღაცის სამშობლოა, ისიც რომ ღმერთის შექმნილია, დანარჩენი სამყაროს მსგავსად, თქვე უღმერთოებო?!

ღმერთი გწამთ თქვენ?

არა მგონია.

ღმერთი რომ გწამდეთ, ერთი თქვენგანი ვლადიმირს (დაეუფლე მსოფლიოს!) არ დაარქმევდა თავისი ვაჟკაცების უმრავლესობას სახელად.

სამაგიეროდ, ამერიკამ ვისაც მისწვდა, ყველას ნატო დაარქვა თიკუნად და ნატოს დროშის ქვეშ გააერთიანა, რაც იგივე შინაარსისა და ქვეტექსტისაა, რაც „ვლადი მირი“, ოღონდ უფრო ჭკვიანური და გონივრული.

უომრად, უბრძოლოდ, უმსხვერპლოდ, უსისხლოდ დამორჩილებული სახელმწიფოები, ფაქტობრივად, კოლონიები და ვასალები, რით არ არის უდიდესი მონაპოვარი?

— ჩვენ თავდაცვითი ორგანიზაცია ვართო, — აცხადებს ნატო, მაგრამ რატომ არის ის თავდაცვითი ორგანიზაცია, როცა მისი საზღვრები დღითიდღე ფართოვდება და ახალ-ახალ ტერიტორიებს ეუფლება?

რაკი ამჟამად რუსეთმა და ამერიკამ უკრაინა აირჩიეს, ზელენსკიც აფრთიანებულ-აჟღრიალებული გაიძახის — მოდით, დასცხეთ ერთმანეთს, ოღონდ ჩვენ ფული მოგვეცით, იარაღით მოგვამარაგეთ, თქვენი თვითმფრინავებით გადაგვზურეთ, ხოლო ჩვენ სისხლის უკანასკნელ წვეთებამდე, უკანასკნელი უკრაინელის დაცემამდე ვიბრძოლებთ.

ზელენსკის რა ენაღვლება — თუნდაც ბოლო უკრაინელის დაღუპვით ზელენსკის ჯიში და მოდგმა ხომ გადარჩება.

კოლექტიურ დასავლეთს, უკრაინის მთავრობას, საქართველოშიც სურდათ მეორე ფრონტის გახსნა, რომ ომის სიმძიმის ნაწილი საქართველოსაც დასწოლოდა, მაგრამ ეს ფანდი არ გამოვიდა, თუმცა დღემდე ცდილობენ მის განხორციელებას.

აქ მეორე ფრონტი რომ გაიხსნას, საქართველოსგან აღარაფერი დარჩება, მაგრამ რაში ენაღვლება ეს, ან კოლექტიურ დასავლეთს, ან ამერიკას, მით უმეტეს, უკრაინის ხელისუფლებას?

●

ნისლი მოცურავს საქართველოს ოთხივ კუთხისკენ — ნისლი უძმური, კურთხი, ბლანტი...

მოცურავს და მთელი ქვეყნის შთანთქმას ცდილობს.

რა შეაჩერებს ამ დამპყრობელ და კოლონიზატორ ნისლს, რა გაფანტავს და დაშლის მას ფრაგმენტებად?

რა დაშლის და კაშკაშა სინათლე, ჩვენი სულებიდან და სხეულებიდან გამოტყორცნილი ენერგია, ჩვენი პროტესტი და ქართულ ყაიდაზე გადაკეთებული წინააღმდეგობა — ჩვენებური „სატიაგრაჰა“.



გაქსუებული ვირები

სად ერეკლე პაპა, სად კიდე „ბაყაყა“ ლევანა?!



გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

რამდენიმე დღის წინ ლევან ბერძენიშვილზე ერთმა ქალბატონმა მომწერა, ბატონო გელა, მაგ ადამიანს გამომეტყველებასა და ფიზიონომიაზე ნუ დასცინით, არ გეკადრებათ, ბუნებამ დაჩაგრა, ყველა ალენ დელონი ვერ იქნებაო. ამ წერილმა ჯერ დამაფიქრა, შემდეგ კი სინდისმაც დამქენჯნა - მართლაც, ბოლოს და ბოლოს, ყველა ალენ დელონი, ჟერარ დეპარდიე, პიერ რიშარი, ჟან-პოლ ბელმონდო, ან კიდევ ჟან გაბენი ხომ ვერ იქნება? რასაკვირველია, ვერა, ეს შეუძლებელია და მეც დაუნდობლად მივადგები ხოლმე - ხან ბაყაყს ვეძახი, ხან სელაპს, ხან მოხარშულ თევზს, ხან ბეჰემოტს. ერთ ხანობას ვიფიქრე, მოდი, მის გამომეტყველებას და ფიზიონომიას ხაზს აღარ გავუსვამ, მხოლოდ მის არაადამიანობაზე ვილაპარაკებ-მეთქი, მაგრამ ვატყობ, საკუთარ თავთან დადებულ პირობას ვერ ვასრულებ. რეიზა ვერ ვასრულებ? იმიზა, რომე... აგერ, გამოვარდა ბატონი ლევანა კეზერას თუ ჭუტლექსას „ტელეროზში“ (ეგრე ეძახდა ბებიაჩემი) და გიორგი ვოლსკის გადასწვდა, ამ ტიპის გამომეტყველებაა საკმარისი, რომ საქართველო არსად მიიღონო:

„ყველამ ყველაფერი თქვა, ვოლსკის გამომეტყველებაა საკმარისი იმისთვის, რომ საქართველო არსად მიიღონ. ამ კაცს სახეზე აწერია, რომ მართავს საბჭოთა კავშირი. სახელოვანი წინაპრის შვილიშვილია, ბათუმს დღემდე ახსოვს, გაქართველებული პოლონელი ვოლსკი, რომელმაც დიდი საქმეები აკეთა, მაგრამ როგორც ჩანს, გადაგვარება ყველგან ხდება, არა მხოლოდ ბაგრატიონებში ხდება, სხვაგანაც ხდებოდა“.

დიახ, ჯერ კიდევ ჩვენმა დიდმა წინაპრებმა თქვეს, კარგი და ცუდი ყველგან არიო, „დაჟე“ ბაგრატიონებშიცო... თუმცა, ბერძენიშვილებში სუ კარგები არიან, ეს ერთადრეთი გვარია, სადაც ცუდი არ არსებობს, რადგან მათ ბატონი ლევანი ჰყავთო - ყოფილი პოლიტპატიმარი, ბოლშევიკების რისხვა, ანტიკური ლიტერატურის მკვლევარი (მთელი ცხოვრება არისტოფანეს შემოქმედებას „კვლევებულობს“, თან ვითომ თარგმნის), პოლიტიკოსი, ლექტორი და ასე შემდეგ... ექსპერტობაზე, ჩამშვებობაზე, აზრთა შეცვლის ოსტატობაზე, ვირეშმაკობასა და ტრაკის თამაშზე არაფერს ვამბობ, ეს მისთვის დიდად უბრალო და ჩვეულებრივი პროფესიები გახლავთ.

ესე იგი, უფრო გასაგებად რომ აგიხსნათ, „სელაპა“ ლევანას გიორგი ვოლსკის გამომეტყველება და განცხადებები არ მოსწონს, თურმე ამ კაცს სახეზე აწერია, რომ მართავს საბჭოთა კავშირი. დიახ, „ბაყაყა“ ლევანა ამტკიცებს, ვოლსკის სახეზე აწერია, რომ საბჭოთა კავშირი და კონკრეტულად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი მართავსო. ასაცილოა პირდაპირ, ალბათ გახსოვთ ფარული ჩანაწერი, სააკაშვილის გაჩალიჩებული, 2007-ში რუსეთის საელჩოს მაღალჩინოსანს ანგარიშს რომ აბარებდა და პირდებოდა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც თქვენ ისურვებთო. ეს არაერთგზის დანომრილი აგენტი გიორგი ვოლსკიზე იძახის, საბჭოთა კავშირი მართავსო. ხალხო, საბჭოეთი ვის მართავდა და საბჭოეთთან ვინ თანამშრომლობდა, ეს მთელმა საქათველომ იცის. აგერ, მე განზე გავდგები და ცოტა ხნით „რინგს“ პოლიტიკის მეცნიერაბათა დოქტორს, ლევან ნიკოლეიშვილს დავუთმობ:

„შენს სურათს რომ თელავში, „უბორნიის“ (ამ შემთხვევაში, ტუალეტისა და საპირფარეშოს ეს სიტყვა ჯობია!) შესასვლელთან ჩამოკიდებენ, თან გამვლელ-გამომვლელი იმას რომ იტყვის, სად ერეკლე და სად „ეს ისაო“, თუ სინდის-ნამუსი გაქვს, ხმა აღარ უნდა ამოიღო... მაგრამ ლევან ბერძენიშვილი და სინდის-ნამუსი რომ ვერ თავსდებიან ერთმანეთთან, ესეც ცხადია. ძმის ჩამშვები, მერე საბჭოთა კგბ-სა და კომუნისტური პარტიის უკანალის მკოცნელი, ჯერ „ნაცების“ მხარდამჭერების ჯალათებად, მოგვიანებით კი „ქართული ოცნების“ ავადმყოფებად მომხსენებელს აშკარად ფსიქიკური გადახრები უნდა აწუხებდეს. ერეკლე მეორეს, ხალხის უსაყვარლეს მეფეს, პატარა კახის მოღალატეობას რომ დასწამებს, მერე დავით აღმაშენებლის შვილებსა და შვილიშვილებს იდიოტებს უწოდებს, იმ არსებას, წესით, ჭკუა არ მოეკითხება. ახლა პიროვნულ და პირად შეურაცხყოფაზეც გადადის - სავარაუდოდ, პოპულარობისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით (მისთვის, როგორც ჩანს, მნიშვნელობა არ აქვს, კაცად მოიხსენიებენ თუ არაკაცად!). დიდი სურვილი შეჰყრია, ვინმემ (მინიმუმ) ყურის ძირში გაულაწუნოს. მერე ნახეთ ამბავი და კივილ-წივილი, პოლიტიკური ნიშნით დაზარალებულის მანტიის შემოსხმა, თავისუფალი სიტყვის შეზღუდვაზე ლაპარაკი ლომჯარიას თუ მისი მიმდევრების მხრიდან. ამიტომ, ყველას გევედრებით, ვინმეს ხელი არ წაგიცდეთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ვიღაცა იტყვის, კაცი გალახესო. მისთვის კი კაცად მოხსენიება ძალიან დიდ პატივი იქნება“.

დიახ, შეიძლება ვინმემ კაცად მართლაც მოიხსენიოს, მაგრამ 99%-ით დარწმუნებული ვარ, არავინ მოიხსენიებს, მას აუცილებლად უწოდებენ გამხმარ ნეხვს. სანამ ბატონი ლევანი გიორგი ვოლსკის მიადგებოდა, ჩვენი დიდებული მეფის, ერეკლე მეორის ხსოვნასთან შეჩერდა, ვინაიდან რუსებთან ტრაქტატი გააფორმა, მოღალატედ უნდა შევრაცხოთ, სანამ ამას არ ვიზამთ, მანამ არაფერი გვეშველებაო. თუ ბატონმა ვოლსკიმ „სელაპა“ ბერძენიშვილს საკადრისად უპასუხა, ერეკლე მეორემ საპატიო მიზეზის გამო დუმილი არჩია. თუმცა მას იმდენი დამცველი გამოუჩნდა, ამ რიცხოვნობის ხალხი ომში რომ ჰყოლოდა, გეორგიევსკის ტრაქტატი აღარ დასჭირდებოდა.

გიორგი ვოლსკი: „ბედი არა მაქვს, ზოგიერთს ისე დააბერტყავს უფალი შესაბამის გამომეტყველებას, რომ შეგშურდება კაცს“!

აბა, კაცო, მაგას ლევან ბერძენიშვილი კი არა, ლევან დელონი უნდა ერქვას, უბრალოდ მის მშობლებს შეეშალათ. დელონები არიან ეგენი, დელონები სოფელ ყიზილაჯლოდან.

მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო... „ბაყაყა“ ლევანა ერეკლე მეორეს მიადგა, მოღალატედ უნდა გამოვაცხადოთო, ამაზე ზემოთაც მოგახსენეთ. ჰოდა, მე რომ მეგონა, მომდევნო დღეებში გამოვა და ბოდიშს მოიხდის-მეთქი, პირიქით მოიქცა, ჟილეაანთ ქალს დაუჯდა და ისაო, ერეკლე მეორეს ილია ჭავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილიც აკრიტიკებდნენ, ეხლა ეგრე გამოდის, როცა მე მლანძღავთ, ილიას და ნიკოლოზსაც ლანძღავთო. „სელაპა“ ლევანა გვაგოიმებს, მაგას ჰგონია, წერა-კითხვა სხვას არ ეხერხება, მარტო თვითონ იცის. არა, თვითონ რა ჩემი ფეხები იცის, ეგ ჯერ კიდევ საკითხავია.

ეს ადამიანი აყალბებს ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას ერეკლე მეორისადმი... მისი თქმით, ილია თურმე ვერ იტანდა ერეკლეს. არადა, პირიქით, ის 1900 წელს წერდა, რუსეთმა გვიღალატა და ამიტომ არ ღირს ტრაქტატის ხელმოწერის თარიღის საზეიმოდ აღნიშვნაო. დიახ, განა ჩვენც მაგას არ ვამბობთ, რომ რუსეთმა გვიღალატა და საქართველო აამტუტა? განა ჩვენი წინაპრებიდან ბევრი მაგას არ ჩიოდა? გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერამდე ერეკლე მეფემ ელჩები გაგზავნა ავსტრიაში, საფრანგეთში, რომის პაპთან, მაგრამ უშედეგოდ და ეს ხდებოდა 1780-1781 წლებში, 1783 წელს კი ტრაქტატი გაფორმდა, სადაც დაპყრობასა და ავზნიანობაზე არაფერი ეწერა, არც ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებაზე მოუწერია ხელი ერეკლე მეორეს და არც სამეფო ოჯახის გადასახლება-აწიოკებაზე. ბატონ ლევანას ძალიან უყვარს არა მხოლოდ საკუთარი ისტორიის დამალვა, არამედ ჩვენი სახელოვანი წინაპრების ნააზრევ-ნაფიქრალის მიჩუმათებაც. თვითონ რა ისტორია და წარსული აქვს? არაფერი, მაგის „განავალ“ გზაზე მხოლოდ გული თუ აგერევა, მაგრამ წეღანაც გითხარით, თავი გაბრექილი კიტრი ჰგონია. ახლა დასჭირდა და თავი ილია ჭავჭავაძესაც გაუტოლა, ერეკლე მეორეს ისიც ლანძღავდა, გამოდის, მე და ილიას გვებრძვითო? რა გითხრათ, რით გაგახაროთ? ასეთ რამეს იდიოტი თუ იტყვის.

ისე, ვერც იმას დაგიმალავთ, კახელების იდეა რომ მომეწონა - მისი ფოტო ჩარჩოში ჩაუსვამთ და თელავის „ცენტრალური“ ტუალეტის შესასვლელში „ჩამოუკიდნიათ“. დიახ, მომწონს, ვინც ჩემ სახელოვან წინაპრებს შეურაცხყოფს და მოღალატეებად გამოაცხადებს, ყოფას ვუტირებთ!

ბოლო დღეებში ზოგიერთმა ჩვენმა თანამოქალაქემ გამოთქვა აზრი, ეგებ დოყლაპია ლევანას ლექტორობა აეკრძალოსო? ეგებ აუდიტორიაში მისი შეშვება დიდი ბოროტებააო? საზოგადოების ერთმა ნაწილმა სხვანაირი პოზიცია არჩია, იყოს, ეგდოს, მისი მოკვეთა ისევ ე.წ. ლიბერალების წისქვილზე დაასხამს წყალს, ვისაც მისი მყრალი პირიდან განათლების მიღება უნდა, ღმერთმა შეარგოსო. ამას წინებზე კეზერაშვილის „წმინდა“ ამბიოწზე გადმომდგარიყო (ეს ჩემისა) და წყალში გაკუებულივით ბუყბუყებდა, მე შეიძლება ბევრ სტუდენტს არ ვუყვარვარ, მაგრამ ხომ არიან ისეთებიც, ვისაც ვუყვარვარო? ან კი სიყვარული რა საჭიროა, მთავარი ხომ თავისუფლებააო? აი, მე კი ნამდვილად თავისუფალი ვარ, უმაგისობას არ ვუჩივიო.

მმმუუუაჰაჰაჰაჰა!

„ბაყაყა“ ლევანა იძახის, თავისუფალი გახლავართო, თავისუფალიო, ლაჟვარდოვანი და გამჭვირვალეო. სინამდვილეში არც ერთი არ არი, უკვე გითხარით და ვიმეორებ - ერთი გულისამრევი ბოგანოა!

„ახლა ნატოს კანდიდატობის წევრი რომ ვყოფილიყავით, ომი, პირველ რიგში, საქართველოში დაიწყებოდა“

გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე.

— ბატონო მამუკა, საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭების მოლოდინშია. თუმცა საუბრობენ, რომ გადაწყვეტილება პოლიტიკური იქნება. თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

— მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხის გარშემო დიდი ვნებათაღელვაა, დარწმუნებული ვარ, სტატუსის მონიჭებას წინ არაფერი უდგას. ერთი შეხედვით, სტატუსის მონიჭება, აბსოლუტურად, ფორმალობაა. მეორე მხრივ, გარკვეულ სიგნალს იძლევა, რომ ჩვენ, დასავლური საერთაშორისო თანამეგობრობის მიღმა არ ვდგავართ. დიახ, კანდიდატის სტატუსი ბევრს არაფერს ნიშნავს. უბრალოდ, პრინციპის საკითხია. წლებია ეს მიდგომა გვაქვს — დასავლურ ვექტორზე ვართ ორიენტირებული. აქედან გამომდინარე, თუ სტატუსს მხოლოდ უკრაინას მიანიჭებენ, ხოლო ჩვენ და მოლდოვა მოვლენებს მიღმა დავრჩებით, ეს კატასტროფა იქნება, როგორც ჩვენთვის, ისე თავად, ევროპული, დასავლური მიდგომებისთვის. გარდა ამისა, ყოველივე მკაფიო სიგნალი იქნება რუსეთისთვის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ის ნაწილი, რომელსაც კავკასია ჰქვია, უპატრონოდ არის მიტოვებული. მას შეუძლია ძალისმიერი მეთოდებით თავისი პრობლემები მოაგვაროს. დიახ, რუსეთისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კონკრეტულად სამხრეთ კავკასიაში მისი გავლენები აღდგეს. სხვათა შორის, ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ რუსეთი დამარცხდა. ანუ, პრაგმატული კუთხით, ძალიან მნიშვნელოვანია, მინიმალური სტატუსი მაინც მივიღოთ. რაც შეეხება მოსაზრებას: თითქოს, საქართველოს ხელისუფლება ცუდია და ამის გამო კანდიდატის სტატუსს არ მოგვცემენ. ეს იდიოტიზმია იმიტომ, რომ აქ ლაპარაკია პოლიტიკურ ძალთა გადანაწილებაზე და არა იმაზე ქვეყნის ხელისუფლება ცუდია თუ კარგი. შემიძლია, არაერთი ევროპული ქვეყანა ჩამოვთვალო, რომლის საქციელი და მოქმედება, განსაკუთრებით კი გატარებული რეფორმები ვერც ერთ იმ კრიტერიუმში ვერ ჯდება, რასაც დასავლეთი ქადაგებს.

— თქვენ ახსენეთ, ჩვენი და მოლდოვას დასავლურ ვექტორს მიღმა დარჩენა კატასტროფა იქნებაო. თუმცა ბევრს ჰგონია, რომ ომის გამო ჩვენც უკრაინის ლოკომოტივს ჩავებმებით და ევროკავშირში უცებ გავწევრიანდებით?

— ევროკავშირში გაწევრიანება თავად უკრაინისთვისაც შორეული პერსპექტივაა. ჩვენთვისაც და მოლდოვისთვისაც, ამ შემთხვევაში, ცოტა სხვა რამეზეა საუბარი. რადგან პერსპექტივა შორეულია არ ნიშნავს, რომ ამ გზით არ უნდა ვიაროთ. ზოგ შემთხვევაში, პროცესი შედეგს სჯობს. მაგალითად, ნატოში გაწევრიანების ასპექტში. წარმოვიდგინოთ, რომ ცოტა ხნის წინ ნატოს კანდიდატი წევრი ვყოფილიყავით. მაშინ ომი სად დაიწყებოდა — უკრაინაში თუ საქართველოში?! იმიტომ, რომ უკრაინას ამ წლების მანძილზე არავითარი შანსი არ ჰქონდა ნატოს კანდიდატი ყოფილიყო. ომმა განაპირობა ის, რომ მიდგომები შეიცვალა, თორემ, უკრაინა ძალიან კორუმპირებული, სერიოზული რუსული გავლენების მქონე სახელმწიფო იყო. მინდა გითხრათ, რომ ამ ომის დაწყება, რუსეთის მხრიდან, უზარმაზარი შეცდომა იყო. რუსს უკრაინაში სიტუაციის დალაგების შანსი ყოველთვის ექნებოდა, უკრაინა ასეთი კორუმპირებული რომ არ ყოფილიყო და ფული, რომელიც ამ ქვეყანაში რუსული გავლენების გასაძლიერებლად იყო გამოყოფილი, არ შეეჭამათ. ეს ფული ხომ ტრივიალურად შეჭამეს. ჩვენი საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩა ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტი: ომის პირველივე დღეებში, როდესაც კრემლმა ის შედეგი ვერ მიიღო, რაშიც მას არწმუნებდნენ, თავისი გარემოცვა, ელიტის წევრები თავიდან მოიცილა — ზოგი დაიჭირა, ზოგი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ჩუბაისის თემა, 20-მდე დაპატიმრებული გენერალი, რომელი ერთი ჩამოვთვალო. ეს ზუსტად იმიტომ მოხდა, რომ ტრივიალურად იპარავდნენ ამ ფულს, რომელიც გამოყოფილი იყო ე.წ. რუსული მირისა და სხვა პროექტების ასამუშავებლად. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ამ პროექტებს მხარს ვუჭერ, არამედ მინდა საზოგადოებამ რეალური ფაქტები იცოდეს. ფულის ტრივიალურად გამოყენებამ გამოიწვია ის, რომ რუსი ტანკით წამოვიდა. დიახ, ეს მოხდა უკრაინასთან მიმართებაში. რუსეთი, აბსოლუტურად, წამგებიან პოზიციაში აღმოჩნდა. უკრაინა მსხვერპლის როლში გამოვიდა, რაც რეალურია, ხოლო ყველა ის დანაშაული, რაც უკრაინის ხელისუფლებებმა წლების განმავლობაში ჩაიდინეს, ჩაიფარცხა, არავის აღარ ახსოვს. მინდა, აღვნიშნო, რომ წლების მანძილზე დასავლურ ინტეგრაციაში უპირველესი კანდიდატი სწორედ ჩვენ ვიყავით. ვიმეორებ, ახლა ნატოს კანდიდატობის წევრი რომ ვყოფილიყავოთ, ომი, პირველ რიგში, საქართველოში დაიწყებოდა. ომამდე შექმნილმა ვითარებამ განაპირობა ის, რაც ახლა ხდება — ჩვენს, თუნდაც, ნახვრეტებიანი ქოლგის ქვეშ მოქცევას დიდი პოლიტიკოსები, საღად მოაზროვნეები დაჩქარებული წესით ცდილობდნენ, მაგრამ არსებობს მთელი წყება პოლიტიკოსებისა, რომლებიც, ერთი მხრივ, რუსული ინტერესების გამტარებლები არიან და მეორე მხრივ, უბრალოდ, ვერ იაზრებენ საფრთხეს, რაც რეალურად არსებობს. გარდა ამისა, არ დაგვავიწყდეს ქართული მეხუთე კოლონა, რომელიც რადიკალური ოპოზიციის სახით არის წარმოდგენილი და რას აკეთებს, თავადაც არ იცის. სხვათა შორის ის, რომ რადიკალურ ფრთას, ნაწილობრივ, ოპოზიციის დანარჩენი ნაწილი გაემიჯნა, კარგად გამოჩნდა დუბლინში გამართულ კონგრსზე, სადაც ოპოზიციური პარტიების ერთმა ჯგუფმა აქტიურად მოითხოვა, რომ ევროპული პარტიების ერთიანობას საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისთვის მხარი დაეჭირათ, რამაც ნაცები გააცოფა. აღსანიშნავია, რომ ეს სტატუსი საქართველოს ეძლევა და არა კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას, მთავრობას თუ სხვას. აი, ეს მიდგომა ჰქონდა დუბლინში ჩასული ოპოზიციის ნაწილს.

— ანუ ნაცებს არ უნდათ, რომ ქვეყანამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიიღოს?

— დიახ, ეს, აბსოლუტურად, რეალური ფაქტია, რომელიც ჩემმა პოლონელმა მეგობარმა მითხრა. იგი, იქაური პარლამენტის ყოფილი წევრია, ამჯერად, ექსპერტი გახლავთ. მას პოლონეთის პარლამენტში მეგობრები ჰყავს, რომელთაგანაც იცის, რომ ჩვენი, რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენლები, იქ შეხვედრებს მართავენ და მოითხოვენ: საქართველოსთვის ამ სტატუსის მიღებას მხარი არ დაუჭირონ. უფრო მკაცრადაც იყო თურმე ამაზე ლაპარაკი: ამ მთავრობის პირობებში, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას, მხარი საერთოდ არ დაუჭირონ. ეს საშინელი საქციელია.

— იცით, ვინ არიან ეს ქართველი დეპუტატები?

— დიახ, ჩემმა პოლონელმა მეგობარმა მათი გვარები და სახელები დამისახელა, რომელთაგან ზოგი უკრაინიდან იყო ჩასული, მაგრამ ჯერჯერობით, მათი გამჟღავნება არ მინდა.

ნაცები რა ნარატივით ცხოვრობენ. აქედან გამომდინარე, მათ არ უნდა აჰყვნენ. სამწუხაროდ, ზომიერი ოპოზიციის ნაწილმა ვერაფრით მოახერხა. ჩვენს პარტნიორებს, მუდმივად, ამ კინკლაობის შედეგებს ვთავაზობთ. აი, რა ჩაგვაქვს ბრიუსელსა თუ ვაშინგტონში. კი, დასავლეთში სხვა პრობლემებზეც ვსაუბრობთ, მაგრამ მთავარი საკითხია: რა ცუდია ოპოზიცია, რა ცუდია ხელისუფლება, რაც საქართველოს პრესტიჟს სერიოზულად ურტყამს, თუმცა ამაზე ცოტა ვინმე თუ ფიქრობს. რასაკვირველია, ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც არიან ფიგურები, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობენ, მაგრამ მოჯადოებული წრიდან ვერ გამოდიან.

— ბატონო მამუკა, თუ კანდიდატის სტატუსი ვერ მივიღეთ, რა სცენარით შეიძლება განვითარდეს მოვლენები?

— რუსეთი მარცხის შემთხვევაში, თუ დაინახავს, რომ საქართველო ღვთის ანაბარაა მიტოვებული, აუცილებლად, შესაბამის ნაბიჯებს გადადგამს, მით უმეტეს, აზერბაიჯანის პოზიციაც, მაინცდამაინც, არ მოსწონს. მერე რა, რომ 22 თებერვალს სამოკავშირეო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. აზერბაიჯანი რუსეთთან თვალთმაქცობს — ერთი მხრივ, დოკუმენტს მოაწერა ხელი, მეორე მხრივ, ბაქოში უკრაინის მხარდამჭერი მიტინგები იმართება. გარდა ამისა, თურქმენეთი ირანს გაზს აძლევს და ეს უკანასკნელი თურქმენული გაზის მაგივრად, აზერბაიჯანს შესაბამისი რაოდენობის გაზს აწვდის, რომელიც მერე ევროპაში მიდის. მიუხედავად იმისა, რომ ამ გაზით ევროპის მხოლოდ რამდენიმე პროცენტი მარაგდება, რუსეთისთვის ეს, მაინც, არასასიამოვნოა. საერთოდ, აზერბაიჯანის ასეთი თვალთმაქცური პოლიტიკა, მოსკოვში არ მოსწონთ. ასე, რომ დამარცხებული რუსეთი უპატრონოდ მიტოვებულ სამხრეთ-კავკასიას აუცილებლად მოაკითხავს. თუ საქართველოს კანდიდატის სტატუსი ექნება, ეს, უკვე, დამარცხებულ კრემლს დააფიქრებს: გადადგას თუ არა ეს ნაბიჯი. რაც შეეხება გამარჯვებულ კრემლს, მას ვერაფერი გააჩერებს, თუნდაც ევროკავშირის წევრიც რომ ვიყოთ.

6 გვ.

ამ ფონზე სანქციების დაწესება თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება

გვესაუბრება ფინანსისტი ვახტანგ ხომიზურაშვილი:

— ბატონო ვახტანგ, რუსეთისთვის დაწესებული სანქციების ფონზე რა სურათი იკვეთება საქართველოში ეკონომიკური კუთხით?

— რისი გაკეთებაც შეიძლება, შემდეგია: სასწრაფოდ უნდა იფიქრონ საიმპორტო ნაკადების შიდა პროდუქციით ჩანაცვლებაზე, ეს იქნება სოფლის მეურნეობა, ენერგორესურსები თუ სხვა. თუმცა ამას გარკვეული დრო დასჭირდება. ამ შემთხვევაში, ფასების ზრდა გარდაუვალია, რაც საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. რაც შეეხება სავალუტო კურსს, მეტ-ნაკლებად სტაბილურია, მაგრამ ეს შემდეგი გარემოებით არის გამოწვეული: იმპორტიორებს ვისაც პროდუქცია შემოაქვთ, ვალუტაზე ნაკლები მოთხოვნა აქვთ. რატომ? იმიტომ, რომ პროდუქციის მოხმარება შემცირდა. ანუ, მოსახლეობა იმ ოდენობის პროდუქციას ვეღარ მოიხმარს, რასაც ადრე მოიხმარდა. რუსეთისა და უკრაინის ირგვლივ არსებულ ქვეყნებში ასეთი ტენდენციაა — ბიზნესებს ხურავენ, რადგან პერსპექტივა არ ჩანს. რუსეთის ბიზნესი სამომავლოდ უფრო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდება. აქედან გამომდინარე, ბიზნესმენები ფულის დასაბანდებლად ისეთ ქვეყნებს ეძებენ, სადაც მათი კაპიტალი უფრო გარანტირებული და დაცული იქნება. იგივე პროცესები მიმდინარეობს ევროპაშიც — ევროპული კომპანიების აქციები, პირველ რიგში, გერმანიის, საფრანგეთის, უფასურდება. ანუ აქციების კურსი ეცემა. ეს ნიშნავს, რომ ინვესტორები გაურბიან იმ რისკებს, რის წინაშეც, შესაძლოა, ბევრი აღმოჩნდეს, იგივე, ევროპაც. ჩვენ, შანსი გვიჩნდება ამ საინვესტიციო კაპიტალის მიმღები გავხდეთ. უბრალოდ, საქმე შემდეგშია: ხელს გვიშლის არასათანადო საინვესტიციო გარემო, რომელიც იმ დონეზე არ გახლავთ, რომ აღნიშნული კაპიტალები საქართველოს მიმართულებით გადმოედინოს და ფული აქ დაბანდდეს. ეს ძალიან სამწუხაროა. სასწრაფოდ საჭიროა კომპლექსური რეფორმების ჩატარება, რათა საინვესტიციო გარემო შეიქმნას. თუმცა, ამ მიმართულებით, იგივე, მთავრობის აქტიურობას, ქმედით ნაბიჯებს ვერ ვხედავ. რუსეთ-უკრაინის ომმა ნეგატიური შედეგები მოიტანა, მაგრამ არსებობს პოზიტიური მომენტებიც, მთავარია, მისი ჩვენს სასარგებლოდ გამოყენება შევძლოთ.

— ბატონო ვახტანგ, რით აიხსნება, ამ ფონზე, რუსული რუბლის გამყარება?

— საერთოდ, დოლართან მიმართებაში, თითქმის, ყველა ვალუტამ პოზიცია შეინარჩუნა. იმიტომ რომ უშუალოდ დოლარიც უფასურდება. რეალურად, კომპენსაციებისთვის ფული სჭირდებოდათ, მათ შორის, სამხედრო მიმართულებით. აქედან გამომდინარე, დამატებით დოლარის ფულის მასა თავისთავად გაუფასურდა. ანუ დოლარის შიდა გაუფასურება მოხდა. თუმცა, აქვე, სხვა ვალუტებიც უფასურდება, მაგრამ ყოველივე არ ჩანს იმიტომ, რომ როგორც დოლარი უფასურდება, მასთან მიმართებაში ისევე უფასურდება ევროც და რუბლიც. გაუფასურების ტენდენციას თვითონ დოლარი განიცდის. რაც შეეხება უშუალოდ რუბლის მდგომარეობას, რუსეთში მისი მოხმარება, თავისთავად, შემცირებულია, რადგან ძალიან ბევრი კომპანია დაიხურა, ხალხი უმუშევარი დარჩა, მოსახლეობა არასახარბიელო მდგომარეობაშია. აქედან გამომდინარე, უშუალოდ, დოლარზე მოთხოვნა ნაკლებად არის. წარმოიდგინეთ, მთელი იმპორტი, რუსეთთან მიმართებით, საკმაოდ შემცირებულია, პრაქტიკულად, მინიმუმამდეა დაყვანილი. დოლარზე მოთხოვნა ნაკლებია. აქედან გამომდინარე, რუბლი თავის პოზიციას მაინც ინარჩუნებს. თუმცა ეს არაფერს ნიშნავს. დარწმუნებული ვარ, რუბლი გარკვეულ პერიოდში საკმაოდ დევალვირდება, ანუ გაუფასურდება. ჯერჯერობით ეს არ ჩანს. თუმცა, სხვაგვარად თუ შევხედავთ, რუსეთს საკმაოდ დიდი რესურსები აქვს. ევროპას კი გაზი სჭირდება და ა.შ. ამიტომ, ბოლომდე უარს ვერ ამბობენ, იძულებულნი არიან გაზი რუსეთისგან შეიძინონ. ამ ეტაპზე რუსეთის გაზზე უარის თქმა, მათი ეკონომიკისთვის კატასტროფა იქნება. ეს სიტუაცია, ჯერჯერობით, ყოველგვარი მკვეთრი გადახრების გარეშე, შენარჩუნდება. იმიტომ, რომ ევროპა რუსეთთან ურთიერთობას მაინც აგრძელებს, სხვა გამოსავალი არ აქვს. რუსეთის ექსპორტზე საკმაოდ ბევრი ქვეყანაა დამოკიდებული. კერძოდ, იმ კომპონენტებზე, რასაც რუსეთიდან ყიდულობენ და რომელიც იგივე, მაღალტექნოლოგიებს, შეიარაღებას და ა.შ. ხმარდება. აქედან გამომდინარე, ევროპა რუსეთს ამ ყველაფერზე უარს ვერ ეტყვის. ამ ვითარებაში ყველაზე მოგებულ მდგომარეობაში აშშ-ია რადგან იგი, რუსეთს ასუსტებს. ამერიკის მიზანია რუსეთი მაქსიმალურად დაასუსტოს, რათა შემდგომში გაუფასურებული რუსული აქტივების შეძენა მარტივად შეძლოს. რუსული აქტივები კი, მოგეხსენებათ, ძირითადად, ნავთობის კომპანიებია და ა.შ. ამიტომ, აშშ, გარკვეულწილად, პოზიციებს იმაგრებს. გაურკვეველი სიტუაციაა ჩინეთის მხრიდან იმიტომ, რომ მას, ერთი მხრივ, ნეიტრალური პოზიცია უჭირავს, მეორე მხრივ, არჩევანის წინაშეა — რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობები იქონიოს თუ უარი თქვას. რუსეთთან მიმართებით, ჩინეთის ექსპორტს თუ გადავხედავთ, ეს, მხოლოდ და მხოლოდ, 2-3%-ია. ძირითადად, ჩინეთის ექსპორტი ევროპაზე და აშშ-ზეა მიმართული. აქედან გამომდინარე, არ მგონია, ჩინეთმა, ევროპის მიმართულებით, თავისი ექსპორტის შემცირებაზე უარი თქვას. ყოველ შემთხვევაში, ჩინეთს ასეთი გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ზუსტად იგივე სიტუაციაში იმყოფება ერთ-ერთი იმპორტიორი — ინდოეთი. ჯერჯერობით, ეს ორი ქვეყანა ჩასაფრებულ პოზიციაშია. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. ისინი, ალბათ, ომის ფინალურ სტადიას ელოდებიან.

დიახ, გასაგებია, რომ რუსეთი აგრესორი, ოკუპანტია, ეს ცალსახად ასეა, მაგრამ, გარკვეულწილად, ამ ომის დაწყებაში წვლილი უკრაინასაც მიუძღვის. დიახ, უკრაინის დაქსაქსულმა დიპლომატიამ და მიდგომამ, იგივე, ნატოსთან და დონბასის მოსახლეობასთან მიმართებით, საომარი მოქმედებების დაწყების სტიმულირება მოახდინა. ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ უკრაინასაც დიდი შეცდომები აქვს დაშვებული, ვგულისხმობ, დიპლომატიურ კუთხეს. ძალიან საწყენია, რომ ევროპაში ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა, ასე ნადგურდება. ეს მთელი მსოფლიო ეკონომიკისთვის ძალიან ცუდი მოვლენაა. ახლა, მაგალითად, ევროკავშირი აპირებს ობლიგაციების გამოშვებას. ეს პირველი პრეცედენტია, რათა მოსახლეობისთვის კომპენსაციების გასაცემად თანხები მოიზიდოს. შედეგად, მოსახლეობა გაზრდილი ფასების კომპენსაციას მოახდენს. ომმა მთელ მსოფლიოზე ნეგატიურად იმოქმედა და ამ მიმართულებით, ყველა წაგებაშია. ჩვენ, შეგვიძლია სიტუაცია საჩვენოდ გამოვიყენოთ. ვგულისხმობ, გათავისუფლებულ საინვესტიციო კაპიტალს. თუმცა, ჯერ მზად არ ვართ საინვესტიციო კაპიტალი მივიღოთ.

— ამ დროს, ჩვენი მხრიდან, რუსეთისთვის სანქციების დაწესება ქვეყნის კოლაფსს არ გამოიწვევდა?

— რასაკვირველია, ასეა. მთავრობა იძულებული იყო, რომ სანქციებთან მიერთებაზე უარი ეთქვა, რაც სავსებით სწორია. საქართველო იმდენად დამოკიდებულია რუსეთის ექსპორტზე, რომ სანქციებთან მიერთება ჩვენი ეკონომიკისთვის თვითმკვლელობა იქნებოდა. ეს, ცალსახად, ასეა. ამიტომ, ხელისუფლების გადაწყვეტილება, აბსოლუტურად, გამართლებული ნაბიჯია. ჩვენს ქვეყანაში ისეთი განვითარებული საწარმო პოტენციალი რომ ყოფილიყო, რომელიც დაახლოებით, 60%-ით ჩაანაცვლებდა, იგივე, საიმპორტო პროდუქციას, მაშინ, ჩვენი მთავრობა ცოტა მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდებოდა. მაგრამ ამ ფონზე, სანქციების დაწესება, ვიმეორებ, თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა.

— ანუ ადგილობრივი წარმოების მეტად განვითარება გვჭირდება?

— რასაკვირველია, აუცილებელია ადგილობრივი სოფლის მეურნეობის, გადამამუშავებელი წარმოებების და ა.შ. განვითარება. ზუსტად ამ კუთხით არის საჭირო რეფორმების ჩატარება, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს, საერთოდ, ბიზნესის გათავისუფლებას საბანკო, მძიმე კაპიტალისგან, რომელიც პრაქტიკულად, ბიზნესს, პირდაპირ, ჩანასახშივე კლავს. აქედან გამომდინარე, ვიმეორებ, სწორედ საინვესტიციო მიმართულებით უნდა გატარდეს რეფორმები, რათა აქ, კაპიტალის დაბანდებისათვის მისაღები და ხელსაყრელი მიმართულებები შეიქმნას, როგორიც არის სააქციო საზოგადოებები, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რაც ინვესტიციების მისაღებად აუცილებელია. სხვა შემთხვევაში, შედეგს ვერ მივიღებთ. ინვესტორი ხედავს შექმნილ სიტუაციას და თავად იღებს გადაწყვეტილებას: დააბანდოს თანხა თუ არა. თუ მისაღები პირობები იქნება, საკმაოდ დიდი ოდენობით ინვესტიციები წამოვა. ამ ყველაფერს სჭირდება კომპეტენცია, რეფორმები, ნება. თუ ეს არ გაკეთდა, ისევ მაჩანჩალა მდგომარეობაში დავრჩებით.

— როგორც ვთქვით: აშშ სანქციებით რუსეთის დასუსტებას ცდილობს, მაგრამ პარალელურად, ევროპასაც ხომ ასუსტებს?

— დიახ, თავისთავად. აშშ-ს საინვესტიციო ფონდები, ახლა, ჩასაფრებულ მდგომარეობაში არიან იმიტომ, რომ ევროპის კომპანიების აქციების ფასი კატასტროფულად ეცემა. შედეგად, ამერიკა გაუფასურებული აქციების შეძენას, დაუფლებას ახორციელებს. პრაქტიკულად, ევროპის ეკონომიკაში, ამერიკული კაპიტალის ექსპანსია ხდება. ეს ნიშნავს, რომ რეალურად, აშშ-ს სტრატეგია მსოფლიოში ეკონომიკური დომინანტის როლის შენარჩუნებისკენ არის მიმართული. თუმცა, ერთი პრობლემაცაა — აქვეა, ჩინეთი, რომელიც აშშ-ს ძალიან დიდ კონკურენციას უწევს. საბოლოო ჯამში, თუ ვინ დარჩება მოგებული, ძნელი სათქმელია.

— ბატონო ვახტანგ, ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის მიღების მოლოდინშია. რას მოგვცემს ყოველივე ეკონომიკური კუთხით?

6 გვ.

„ახლა ნატოს კანდიდატობის წევრი რომ ვყოფილიყავით, ომი, პირველ რიგში, საქართველოში დაიწყებოდა“

4 გვ.

— სანქციების შედეგად თუ რუსეთში სიტუაცია გაუარესდება, არსებობს შანსი, რომ მან, ოუპირებული ტერიტორიები ვეღარ არჩინოს, ამით ვისარგებლოთ და ისე აღვიდგინოთ ტერიტორიული მთლიანობა, რომ დიდი დამსახურება არც კი დაგვჭირდეს?

— ეს ილუზორული, არასწორი მიდგომაა. კი, რასაკვირველია, რუსეთს ამ ორი რეგიონის რჩენა გაუჭირდება. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთში უამრავი დოტაციური რეგიონია. ჩრდილოეთ-კავკასიაში მდებარე შვიდი ნაციონალური რესპუბლიკა სწორედ დოტაციურია და რუსეთს ყველა მათგანის რჩენა გაუჭირდება, ეს ფაქტია. თუმცა, არა იმიტომ, რომ შემოსავალი მოაკლდა. პირიქით, ენერგომატარებლები უფრო ძვირი ღირს, ვიდრე შარშან. ერთ ციფრს მოვიყვან: შარშან, აპრილში ევროპამ რუსეთს 12 მილიარდი დოლარი გადაუხადა, წელს კი — 62 მილიარდი. მას უზარმაზარი შემოსავალი აქვს, მაგრამ თავად ეკონომიკა იშლება. ანუ ენერგომატარებლების შემოსავალი გაეზრდება, მაგრამ ეკონომიკა ჩამოეშლება. სტრუქტურა რაც რუსეთს აშენებული აქვს, მხოლოდ ენერგომატარებლებზეა დამყარებული, სხვა დარგები არ არის ისე განვითარებული, როგორც საჭიროა. ამიტომ, ასეთი ტიპის ამბიციის სახელმწიფოსთვის ეს ყველაფერი ჩამოიშლება. საშინელი მდგომარეობა იქნება. თან ახლა ხშირად ვისმენთ: რუს ხალხს ყველაფრის გაძლება შეუძლიაო. კი, ბატონო, ეს მეორე მსოფლიო ომმაც დაადასტურა, მაგრამ ეს რუს ხალხს შეუძლია, დანარჩენებს არა და არც მოინდომებენ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ როცა დაღუპულების რიცხვს ანგარიშობენ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ რუსეთი ნაციონალურ უმცირესობებს გენოციდს უწყობს. პროცენტულად ნაციონალურ უმცირესობების დაღუპულთა რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე რუსეთის. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რუსეთის ფედერაციის რეგიონებიდან ყველაზე მეტი დაღუპული დაღესტანს და ბურიატის ავტონომიურ ოლქს ჰყავს. საბოლოო ჯამში, სურათი მძიმე იქნება. რატომ ქმნიან რუსები ხელოვნურად ამ განწყობებს, ვერ ვხვდები. რუსეთის ერთმა პოლიტიკურმა ფიგურამ ცხინვალის დე-ფაქტო პრეზიდენტზე

გამოაცხადა: გაგლოევი ამერიკისა და საქართველოს სპეცსამსახურების აგენტიაო. ცხინვალი, რომელიც, ცნობიერების თვალსაზრისით, რუსეთშია ინტეგრირებული, უცებ გააღიზიანეს. რისთვის? — ვერ გავიგე. კი, ბატონო, ამით რუსეთი ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს, მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ?! ჩვენს გასაკეთებელს ვერავინ გააკეთებს — ეს არის ამ ადამიანებში ცნობიერების შეცვლა. თორემ, მარტო დავიბრუნებთო, ამის ძახილი არ კმარა. ჩვენ, მიწა უნდა დავიბრუნოთ, თუ ხალხი? თუ ორივეს დაბრუნება გვინდა, ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ და თუ მარტო მიწის დაბრუნება გვინდა, მაშინ ომია საჭირო.

— რუსეთის დაშლაზე აქტიურად საუბრობენ. ვინ არის ამით დაინტერესებული და რა საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება, ამ შემთხვევაში, საქართველო?

— გავიხსენოთ, საბჭოთა კავშირის დაშლის პირველი წლები. მაშინ ბუში-უფროსის ხელისუფლება, კრეფსითი დასავლეთი ორიენტირებული იყო არა საბჭოთა კავშირის დაშლაზე, არამედ მის დასუსტებაზე და კრემლში, მის გარშემო ლოიალური გარემოს შექმნაზე. გახსოვთ მაშინ დასავლეთმა გამსახურდიას მხარი არ დაუჭირა. იმიტომ, რომ დასავლეთს საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული ქაოსის შექმნის ეშინოდა. ახლაც იგივე სიტუაციაა, დასავლეთს რუსეთის დაშლა არ აწყობს, არამედ მისი დასუსტება, დაჩოქება და ლოიალური რუსეთის შექმნა, რომელიც ჩინეთის წინააღმდეგ ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ ნებისმიერი ტიპის ომში, მისი მოკავშირე იქნება. აი, ეს უნდა დასავლეთს. პრაქტიკულად, უკრაინაში ომი სწორედ ამის გამოა. დიახ, ყოველივე რუსეთის დასასუსტებლად ხდება, რათა მან იმპერიული ამბიციები ჩაიკლას, რასაც უკრაინა ეწირება. რუსეთის დაშლა არავის აწყობს იმიტომ, რომ ეს უზარმაზარი ქაოტური, უკონტროლო სივრცე იქნება. ერთადერთი ქვეყანა რომელსაც შეიძლება რუსეთის დაშლა აწყობდეს, ჩინეთია. ჩინეთისთვის, ამ შემთხვევაში, ტერიტორიული სივრცის თვალსაზრისით, უზარმაზარი პერსპექტივა იხსნება. იმიტომ, რომ შორეული აღმოსავლეთის სივრცეში მოსახლეობის დიდი დეფიციტია, ჩინეთისთვის კი ჭარბი მოსახლეობის განთავსებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება დასავლეთისთვის და ჩვენთვის რუსეთის დაშლა უაღრესად წამგებიანია იმიტომ, რომ ეს კავკასიის მთელ პერიმეტრზე უზარმაზარ ქაოსს გამოიწვევს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ამ ფონზე სანქციების დაწესება თვითმკვლელობის ტოლფასი იქნება

5 გვ.

— დავიწყოთ იმით, რომ მაჩანჩალა, ღარიბი ქვეყანა ევროკავშირს არაფერში სჭირდება. თავის დროზე გერმანიას საკუთარი რესურსების ევროპის ქვეყნებში გადანაწილება დასჭირდა იმიტომ, რომ მისი ეკონომიკა, სხვებთან შედარებით, ძლიერი იყო. ასე რომ, ჩვენნაირი ქვეყანა არავის სჭირდება. მეორეც, ევროკავშირში შესვლაში მე სარგებელს ვერ ვხედავ — რას მოგვცემს იქ, შესვლა?! ბევრს ჰგონია, ევროპის ქვეყნებში როგორი პენსიები და ხელფასებიცაა, ჩვენც ისე გვექნება. ასე, ნამდვილად არ არის. ანუ, რეალურად, ჩვენი ეკონომიკა რაც არის, იგივე დარჩება, დახმარებას და უფასო ფულის მოცემას არავინ დაგიწყებს. გარდა ამისა, რომელ წევრობაზეა ლაპარაკი, როცა ელემენტარულად, ევროკავშირთან კომერციული ურთიერთობები ვერ დაგვიმყარებია. ასე, რატომ ხდება? — იმიტომ, რომ ევროკავშირის ქვეყნებს, იგივე, პროდუქციის მხრივ, მაღალი სტანდარტები აქვთ, რასაც ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ. ამ ყველაფრისთვის, ჩვენ, საკმაოდ მსხვილი ინვესტიციები გვჭირდება როგორც წარმოებაში, ისე ახალ ტექნოლოგიაში, რომლებიც მერე, ამ სტანდარტებს უზრუნველყოფენ. საერთოდ, რაზე ვსაუბრობთ?! თქვენ, იცით, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებში მეცხოველეობა და რძის წარმოება ძალიან სავალალო მდგომარეობაშია, იმიტომ, რომ ევროკავშირი ბალტიისპირეთის ქვეყნებს კომპენსაციას უხდის (რასაც რესტრუქტურიზაცია დაარქვეს), იმისთვის, რომ არ აწარმოონ თავიანთი პროდუქცია იმ რაოდენობით, რასაც აქამდე აწარმოებდნენ. რატომ? — იმიტომ, რომ მათ საკუთარი პროდუქციის გასაღება სჭირდებათ. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, ევროკავშირს დიდი პერსპექტივები არ უწერია. არავინ კითხულობს და აანალიზებს: რატომ გარბის ევროკავშირიდან საბერძნეთი და რა ეფექტი მოუტანა ევროკავშირში შესვლამ, იგივე, ბალტიისპირეთის ქვეყნებს?! — ეს ქვეყნები, ახლა, ისეთ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩდნენ, რომ ტირიან. ბრიტანეთი ევროკავშირთან ალიანსზე კატეგორიულ უარს აცხადებს. ამ ყველაფერს ანალიზი და მერე დასკვნების გაკეთება სჭირდება. ჩვენ, ალბათ, ევროკავშირში შევალთ 200 წლის მერე, მაშინ, როცა იგი აღარ იარსებებს. აი, მაშინ შეიძლება ეკონომიკურად მზად ვიყოთ, რომ მისი წევრი გავხდეთ. თუმცა, ეს, ჩვენი ეკონომიკისთვის, აბსოლუტურად, არაფერს იძლევა. ამიტომ, მიზანი ეკონომიკის

განვითარება უნდა იყოს. ევროკავშირი, გინდ ნატო, სხვა კავშირები როგორც ლევან ვასაძემ თქვა: საშუალება, ინსტრუმენტია მიზნის მისაღწევად. დიახ, ევროკავშირში გაწევრიანებით, რეალურად, ვერაფერს მივაღწევთ მანამ, სანამ ბოლო-ბოლო, არ მივხვდებით, რომ ჩვენი მხსნელი არავინ იქნება, სანამ თავს თავად არ ვუშველით. ჩვენი ეკონომიკა თავად უნდა განვავითაროთ იმ დონეზე, რომ ინვესტორისთვის საინტერესო გავხდეთ და ასევე, ემიგრაციაში წასული მოსახლეობის დაბრუნება შევძლოთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ალი ბაბაევი: უნდა მივიდეთ ოსებთან და აფხაზებთან და ვუთხრათ, რომ არაფერი გვაქვს გასაყოფი, ერთად ვცხოვრობდით და მომავალშიც ერთად უნდა ვიცხოვროთ

გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი.

— ბატონო ალი, ძალიან გაჭიანურდა რუსეთ-უკრაინის საომარი კონფლიქტი. განადგურდა ქალაქები, მაგრამ უკრაინამ, ჯერჯერობით ვერ მიაღწია მისთვის სასურველ შედეგს. რა შეფასებას მისცემთ ყოველივე ამას?

— ომი თავისთავად არის სავალალო, რა შედეგებიც უნდა მოიტანოს მან რომელიმე მხარისთვის. ყველაზე დიდი ტრაგედია არის ის, რომ იხოცებიან ადამიანები — ბავშვები, მოხუცები, ქალები და ბოლოს და ბოლოს ახალგაზრდა, ვაჟკაცი ყმაწვილები.

ჩვენ მსგავსი ტრაგედია სულ ახლახან 2008 წელს გადავიტანეთ, თუმცა მიმაჩნია, რომ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი მოწმენდილ ცაზე არ წარმოშობილა და მას მაპროვოცირებლები ჰყავდა.

მე უკრაინაში ვცხოვრობდი გარკვეულ დროს, ფეხბურთის რაიონულ გუნდშიც ვთამაშობდი. ხარკოვი, კიევი, ლვოვი, დნეპროპეტროვსკი, ზაპოროჟიე, დონეცკი, ფეხით მაქვს მოვლილი. უკრაინაში დღემდე იქ უამრავი მეგობარი მყავს, რომელთა შორის ბევრი უგზო-უკვლოდ არის დაკარგული. თუმცა ამ დღეებში დიდი სიხარული განვიცადე, თავის 12-სულიან

ოჯახთან ერთად გაუჩინარებული ჩემი მეგობარი ვოვა სლობოდიანი გამოჩნდა. ის მარიუპოლში 2 მარტიდან ოჯახიანად დაკარგულად ითვლებოდა.

რაც შეეხება საქართველოს, უკრაინელთა დასახმარებლად ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. მსოფლიოს ქვეყნებშთან შედარებით საქართველომ ყველაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნა უკრაინაში მაშინ, როცა აშშ-ის პრეზიდენტის მხრიდან მხოლოდ იარაღის მიწოდებაზეა საუბარი. იგივეს აკეთებენ ნატოს წევრი ქვეყნები. არც ერთი არ ლაპარაკობს მშვიდობიან მოლაპარაკებაზეე თურქეთის გარდა.

ეს დიდი უბედურება 21-ე საუკუნეში და ამაზე პასუხს აგებს როგორც ვალდიმირ პუტინი, ასევე პასუხისმგებლობა ეკისრება უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას.

ადამიანი პოლიტიკოსი რომ გახდეს, მას სჭირდება დიდი ცოდნა და პოლიტიკური გამოცდილება. ზელენსკი მსახიობი იყო, კლოუნი, რომელმაც შემოიკრიბა კრიმინალები. უკრაინულ-ქართულ ურთიერთობაზე აშკარად ახდენს გავლენას მის გარშემო შემოკრებილი გაურკვეველი იდეოლოგიის გარემოცვა.

— საქართველოში ბევრი არ დაგეთანხმებათ ამაში, რადგან ჩვენთან თითქოს ერთგვარი ტრენდია — ზელენსკი გმირია! ..

— ჩვენ თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ვცხოვრობთ და მე მაქვს უფლება, მქონდეს ჩემი მოსაზრება. როცა მთელი მსოფლიოს ქვენების პარლამენტის და სხვა უმაღლესი ორგანოების ტრიბუნებიდან ზელენსკი მთელი მსოფლიოს გასაგონად ამბობს: ჩვენ გავიმარჯვებთ! მაგრამ, საინტერესოა, ფიქრობს თუ არა, რომ მას არ აქვს ამის პოტენციალი. ამდენი იარაღი შედის უკრაინაში, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

— აბა, რა ჰქნას, კაპიტულაცია გამოაცხადოს? ეს ადამიანები ქვეყნის თავისუფლებას ეწირებიან...

— უკრაინა თავისუფალი იყო და არავინ არ ზღუდავდა ამაში. რაც შეეხება რუსეთს, ის იმპერიაა და აქვს იმპერიალისტური მისწრაფებები. თუ ამერიკას აქვს მსოფლიო ლიდერობის ამბიცია, რუსეთსაც აქვს. ესაა რეალობა.

1997 წელს ნატო-რუსეთის მოლაპარაკებების დროს გადაწყდა, რომ რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნები არ გახდებოდნენ ნატოს წევრები, მაგრამ ეს შეთანხმება ნატოს მხრიდან დაირღვა მაშინ, როცა 2009 წელს ბალტიისპირეთის ქვეყნები ნატომ თავის შემადგენლობაში მიიღო.

მაგრამ ხომ შეიძლებოდა ყველაფერი მოლაპარაკებების გზით გადაწყვეტილიყო? ვინ აგებს პასუხს ამდენი ადამიანის სიკვდილზე?

ვინ აგებს პასუხს, რაც მოხდა, მაგალითად, სირიაში, სადაც კონფლიქტის დროს 18 000 მხოლოდ ბავშვია დახოცილი. იგივე მოხდა ერაყში, ავღანეთში.

თალიბებმაც კი მოუწოდეს რუსეთს და უკრაინას მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას, თურქეთიც გამოდის შუამავლის როლში და მოლაპარაკებების მაგიდას სთავაზობს თურქეთის ტერიტორიაზე, თუმცა საქმე მაინც ჭიანურდება.

მე თვალს ვადევნებ უკრაინულ, რუსულ და ცხადია, ქართულ პრესასაც. ქართული მედია იუწყება, რომ 225 000 რუსი ჯარისკაცი შეეწირა ამ კონფლიქტს, მაგრამ რამდენია დახოცილი უკრაინაში ბავშვების და ქალების გარდა? სტატისტიკა დამალულია. საზოგადოებამ რეალური ინფორმაცია უნდა იცოდეს, რა ხდება უკრაინის მხარესაც. ქვეყანა დაინგრა, ფაქტობრივად.

ჯერჯერობით საქართველოში ამ მხრივ სიმშვიდეა და ეს ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების დამსახურებაა, ოპოზიცია კი საომრად იწევს, არადა ეს ის ხალხია, რომლებმაც 2008 წელს მშვენივრად აჩვენეს, რისი შესაძლებლობა ჰქონდათ. პარტნიორი ქვეყნებიდან შემოტანილი იარაღი სენაკის ბაზრიდან რუსებს გაატანეს. ეს ხალხი ყვირის დღეს საქართველოში მეორე ფრონტი უნდა გავხსნათო.

საქართველოდან გაქცეული რომ არიან წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნები — ადეიშვილი და ძმანი მისნი, ოქრუაშვილი და ბარამიძეც რომ წაბრძანდნენ ვითომ საომრად და სინამდვილში ივანოვო ფრანკოვსკის სასწავლო ბაზაში რომ იკრიბებოდნენ და საქართველოს წინააღმდეგ პროპაგანდისტულ კამპანიას ახორციელებდნენ — საქართველო უკრაინას ღალატობსო, საქართველოს ამ ომში რა უნდა გაეკეთებინა იმის მეტი, რაც გააკეთა და როგორც უკვე გითხარით, უფრო მეტი ევროპის ძლიერ ქვეყნებსაც კი არ გაუკეთებიათ? ეს მაშინ, როცა ჩვენ დღეს გვყავს, დაახლოებით, 500 000-მდე დევნილი საკუთარი ტერიტორიებიდან და 28-30 000-მდე უკრაინიდან დევნილს ვაცხოვრებთ სასტუმროებში და კერძო ბინებში, უზრუნველვყოფთ ფინანსურად და ეკონომიურად. მათ აქვთ ტრანსპორტით უფასოდ გადაადგილების საშუალება, უფასო სამედიცინო მომსახურება და ა.შ.

— მაგრამ, ამბობენ, მეორე ფრონტის გახსნით ჩვენ შეგვეძლო ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებაო.

— ეს არის უკაცრავად და, სისულელე. მელიას, სამადაშვილის, დეკანოიძის და სხვათა პროვოკაციულ გამოხტომებს როგორ უნდა დაუჯეროს ნორმალურმა ადამიანმა. მათი გამოსვლები არის,, პირველ რიგში, ანტიქართული და მოღალატებრივი. საქართველოს მოსახლეობის 80-90%, ადამიანები, რომლებიც ქვეყნის მომავალზე ფიქრობენ, სასტიკი წინააღმდეგი არიან საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის.

ევროპის სახალხო პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს ამასწინათ სააკაშვილი და გვარამია ციხიდან უნდა გამოუშვათო.

მე ვამბობ და საქართველოს მოსახლეობის უმეტესობის აზრს ვახმოვანებ: ყველა დამნაშავე უნდა იჯდეს ციხეში.

ჩემი ოჯახის წევრზე მეტი რითი არიან, რომელიც სისხლისმსმელი ნაციონალების მმართველობის დროს უდანაშულოდ იხდიდა სასჯელს ისე, რომ დღემდე არ ვიცით, რისთვის იჯდა ციხეში. ასეთი რამდენი შემთხვევა იყო — 30 000-ზე მეტი კაცი ჰყავდათ დატუსაღებული, ატერორებდნენ ბიზნესს, აუპატიურებდნენ. არ იცოდნენ, რომ ყველაფერ ამას ქართული საზოგადოება მათ არ აპატიებდათ?!

ახლა მელია გამოდის და ყვირის: წაგვართვეს ხელისუფლებაო. დასმენებით და ცილისწამებებით არიან დაკავებული და ევროპარლამენტარებს მოუწოდებენ, არ მისცენ ხმა საქართველოს ევროკავშირის წევრ კანდიდატად მიღებას. ესენი არიან გამყიდველები. რომელი ქართველი ან არაქართველი, რომელიც მომავალზე ფიქრობს, თავისი შვილების მომავლისთვის ზრუნავს, რომელი და რისთვის მიემხრობა ამათ, ვერ წარმომიდგენია.

ნაციონალების გარდა საქართველოს მოსახლეობას ჰყავს მტრები ომბუდსმენის და სხვადასხვა არამსამთავრობოების სახით. ესენი არიან ანტიქართული, ანტიმართლმადიდებლური, ანტირელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც ყველა ხერხით ცდილობენ, შიგნიდან დაიწყოს აფეთქება, მაგრამ ვერ ეღირსებიან ამას.

ამათი მიზანია ერთადერთი — სურთ ხელისუფლებაში დაბრუნება და კრიმინალი ექსპრეზიდენტი, რომელიც დამსახურებულად ზის ციხეში და მანიპულირებს, თითქოს ავად ბრძანდება, დააბრუნონ ძველ, გადატრიალების გზით ხელში ჩაგდებულ პრეზიდენტის პოსტზე, რომ ისევ ძველებრად იპარპაშონ.

— ბატონო ალი, ექიმები ამბობენ, რომ ექსპრეზიდენტი სერიოზულად არის ავად. თქვენ არ ეთანხმებით ექიმების შეხედულებებს?

— მე არ მინახავს, ადამიანს ამდენი დაავადება ერთად ჰქონდეს, მაგრამ თუ ასეთი ავადმყოფია, როგორ გამოდის სასამართლოებზე სიტყვით, თითქოს ტრიბუნაზე იყოს და მოუწოდებს მსოფლიოს ახალ-ახალ ლოზუნგებს.

ვინც კრიმინალს იცავს და მის გასათავისუფლებლად მოგვიწოდებს, ჩვენი ქვეყნის მტრებად მიმაჩნია ისინი. ეს ადამიანები საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის აზრს არ ითვალისწინებენ, რაც ნიშნავს, რომ არაფრად არ გვაგდებენ, ე.ი. თავიანთი ჭკუით, გვჩაგრავენ. ნახეთ, რას ჰგავს ქართული ტელევიზიები, რომლებსაც ზურგს უმაგრებენ სხვადასხვა საეჭვო პერსონები.

აშშ-ის ელჩი მხოლოდ სააკაშვილზე და გვარამიაზე ფიქრობს, მაგრამ არავის ახსოვს სხვა პატიმრები.

— ბატონო ალი, ამ საუბაარში ბევრი უკმაყოფილება გამოთქვით ევროპელი და აშშ-ის ქვეყნების და მათი წარმომადგენლების მიმართ. თქვენ არ ემხრობით საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში?

— საქართველო ყველანაირ ვალდებულებას ზედმიწევნით ასრულებს. უამრავმა ჩვენმა ჯარისკაცმა იმსახურა და დასახიჩრდა კოსოვოს მისიებში, ავღანეთში, აფრიკაში, სირიაში და ამ ლგბტ წარმოამდგენლეების პრაიდების წინააღმდეგობის გამო საქართველო უნდა დაჩაგრონ და წამოაძახონ: ვერ ასრულებთ ვალდებულებებსო, მაგრამ ის რაც ჩვენთვის მიუღებელია, ვერ შევეგუებით. ჩვენმა პრემიერმა ნათლად თქვა: ოჯახი არის მამაკაცი და ქალი. წავიდნენ სადაც უნდათ და იქ იყვნენ ერთად კაცი კაცთან და ქალი ქალთან, არავინ უშლით, ოღონდ ნუ გვაძალებენ და ნუ გვატენიან ამ უმსგავსობას.

მე მომხრე ვარ ევროკავშირის წევრობის და ძალიან მოხარულიც ვარ, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს არ მოსწონს ლგბტ საზოგადოება, არ გახსნა მეორე ფრონტი რუსეთის, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ, ამის გამო თუ არ მიგვიღებენ ევროკავშირის წევრად, არ გვინდა, ბატონო.

ქართველებსაც, ოსებსაც, აფხაზებსაც, აზერბაიჯანელებსაც და ყველას, ვინც ვცხოვრობთ საქართველოში, გვინდა ვიცხოვროთ მშვიდობიანად. ჩვენ უნდა მივიდეთ ოსებთან, აფხაზებთან და ვუთხრათ, რომ არაფერი გვაქვს გასაყოფი, ერთად ვცხოვრობდით საუკუნეების მანძილზე და ერთად უნდა ვიყოთ სულ. რუსეთი ჩვენი მეზობელი ქვეყანაა და არ უნდა გვქონდეს მასთან მტრული დამოკიდებულება. არც არავისთან არ უნდა ვიყოთ მტრულად. ყველაფერი უნდა მოგვარდეს მშვიდობიანი გზით და არა ომით და სისხლისღვრით.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

დაუშვებელია საქართველოს ჩათრევა უკრაინის ომში, მაგრამ ამის მიღწევას მაინც ჯიუტად ცდილობენ ჩვენი მტრები და „მოყვარეების“

გვესაუბრება ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პოლიტიკის ექსპერტი გულბაათ რცხილაძე.

— მოგესალმებით ბატონო გულბაათ, როგორც ამ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტს, მინდა გკითხოთ უცხოელი და განსაკუთრებით რუსეთისა და უკრაინის მოქალაქეების მასობრივ შემოდინებაზე საქართველოში. დევნილების გარდა სხვა ინტერესების მქონე პირების შემოსვლა თუ კონტროლდება, რა ინფორმაციები გაქვთ და რას ფიქრობთ ამ თემაზე?

— დროული კითხვაა. ამასწინათ თბილისის ერთ-ერთ კაფეში შემთხვევით შევხვდი რუსულენოვან წყვილს, რომლებიც პლანშეტსა და ნოუტბუკში რაღაც დოკუმენტებს ავსებდნენ. შორიახლოს დავჯექი და ძლაუნებურად შევნიშნე, რომ ისინი სწავლობდნენ ამერიკული და კანადური

გარი კასპაროვი და მიხაილ ხოდორკოვსკი

ვიზების მიღების მეთოდებს და რუსეთიდან და ბელორუსიიდან გამოქცეულებისთვის იურიდიული დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობებს. მათი განხილვის საგანი, ყველაფერთან ერთად, იყო ქართველ სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის მეთოდიკა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ასეთ პირებს მხოლოდ მე არ გადავყრივარ.

თუმცა, არ იქნება მართებული, ვთქვათ, რომ რუსეთიდან, ბელორუსიიდან და უკრაინიდან შემოსულ ყველა ემიგრანტზე ეჭვი მივიტანოთ; პირიქით, მათ უმრავლესობაზე ცუდი არ ითქმის, მაგრამ მათ შორის არის პირთა გარკვეული კატეგორია, რომლებიც სამართალდამცავების მაღალ ინტერესს უნდა იწვევდეს. ასეთი კატეგორიის ადამიანები, როგორც წესი, პუტინის და ლუკაშენკოს ე. წ. „რეჟიმების მოწინააღმდეგეები“ არიან, რომლებიც საქართველოს ტერიტორიასა და რესურსებს იყენებენ რუსეთისა და ბელორუსიის საწინააღმდეგო ძირგამომთხრელი საქმიანობის საწარმოებლად. ეს კი უკვე ავტომატურად ეწინააღმდეგება საქართველოს უსაფრთხოების ინტერესებს, თუმცა ცალკე აღებული მაგალითებით ჩანს, რომ იმიგრანტები არ შემოიფარგლებიან თავიანთი წარმომავლობის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლით, ისინი აქტიურად ერევიან შიდაქართულ პოლიტიკურ საქმეებში, რითაც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის რისკებს ამრავლებენ.

— კონკრეტულად რა რისკებზე საუბრობთ?

— საქმე ისაა, რომ რუსეთიდან, ბელორუსიიდან და უკრაინიდან შემოსულ პოლიტიკურ ემიგრანტებს დესტრუქციული მიზნები ამოძრავებთ. მათ არა მხოლოდ „პუტინის რეჟიმი“ და „ლუკაშენკოს რეჟიმი“ აღელვებთ, არამედ ისიც, რომ ბოლო დროს, განსაკუთრებით უკრაინაში რუსეთის სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ, შეინიშნება გარკვეული სტაბილიზაცია და საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ ურთიერთობებში ატმოსფეროს გაუმჯობესებაც. მოსკოვში ძალზე დადებითად მოეკიდნენ საქართველოს მთავრობისა და მთავრობის ხელმძღვანელის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო არ აპირებს შეუერთდეს ანტირუსულ ეკონომიკურ სანქციებს და, მით უმეტეს, გახსნას ე. წ. მეორე ფრონტი თავისი დიდი ჩრდილოელი მეზობლის წინააღმდეგ. რუსეთის წამყვანი ჟურნალისტები საქართველოზე მხოლოდ კარგს ამბობენ. დიპლომატიურ სარბიელზეც არის საინტერესო სიახლეები: ზურაბ აბაშიძესა და გრიგორი კარასინს შორის ბოლოს გამართული სატელეფონო საუბრის ფარგლებში რუსმა კოლეგამ დაარწმუნა საქართველოს მთავრობის სპეციალური წარმომადგენელი იმაში, რომ რუსეთმა შეისმინა თბილისის პოზიცია ე.წ. სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოსკოვი არ უჭერს მხარს ამ რეფერენდუმს.

ძალთა ამგვარი გადანაწილება დასავლეთს სტრატეგიულად არ აძლევს ხელს. როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ „ქართული ოცნების“ კულუარებში უკვე ლაპარაკობენ, დასავლეთმა ფრთხილად, მაგრამ მიზანმიმართულად დაიწყო ზეწოლის განხორციელება ბიძინა ივანიშვილზე და უქმნის მას გარკვეულ ფინანსური ხასიათის სირთულეებს, რათა საქართველოს მთავრობის რუსულ პოლიტიკაზე გავლენა მოახდინოს და ეს პოლიტიკა დასავლეთისთვის სასურველ კალაპოტში გადაამისამართოს.

ნაკლებ ფრთხილად, დაუფარავად და უზრდელურად აკეთებს ამას კიევის რეჟიმი. მიუხედავად იმ მასობრივი ჰუმანიტარული დახმარებისა, რომელსაც უკრაინელებს ქართველი ხალხი და ქართული სახელმწიფო უწევს.

ახლახან გავრცელდა ინფორმაცია აშშ სახელმწიფო მდივნის ენტონი ბლინკენის წერილის შესახებ, რომელიც 22 აპრილითაა დათარიღებული და მისი ადრესატი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია: “მე მოვუწოდებ საქართველოს მთავრობას, გადადგას ყველა შესაძლებელი ნაბიჯი უკრაინის მხარდასაჭერად და იმისთვის, რომ რუსეთის ფედერაციამ პასუხი აგოს ომის დანაშაულებისთვის.” — ნათქვამია ბლინკენის განცხადებაში.

მაგრამ თქვენ საფრთხეებზე მკითხეთ და შეიძლება არ იცით, რომ საქართველოში არსებობს ორგანიზაცია „თავისუფალი რუსეთი“, რომელიც სოციალურ ქსელებში წარმოდგენილია, როგორც **“Free Russia Foundation”**. ის დარეგისტრირებულია საქართველოში, 2019 წლის 29 ივლისს. „თავისუფალი რუსეთის“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი გახლავთ ეგორ კუროპტევი. კუროპტევი ალექსეი ნავალნის აქტიური მხარდამჭერი და ყოველივე რუსულის მაძაგებელია. რუსეთიდან უკვე კარგა ხანია, გამოიქცა და ძირითადად საქართველოში ცხოვრობს, ვინაიდან რუსულ პასპორტთან ერთად, მას ქართული პირადობის მოწმობაც აქვს. გარკვეული დროის განმავლობაში კუროპტევი ქორწინებაში იმყოფებოდა რუსულენოვან ქართველ ჟურნალისტთან ეკატერინა კოტრიკაძესთან. სწორედ ამ ქორწინებამ მისცა მას საქართველოში მუდმივი ბინადრობის უფლება. კუროპტევის ერთ-ერთი ძირითადი თანაშემწე საქართველოში არის ნიკოლაი ლევშიცი, რომელსაც საქართველოს შესახებ არსებული ყველაზე მრავალრიცხოვანი ტელეგრამ-არხი აქვს.

საკუთრივ ორგანიზაცია „თავისუფალი რუსეთი“ წარმოადგენს 2014 წელს ვაშინგტონში დაარსებული სათავო ორგანიზაციის ფილიალს და იგი მთელი კავკასიის რეგიონს მოიცავს.

„თავისუფალი რუსეთი“ წარმოადგენს ვაშინგტონიდან მართულ ქსელს და ფლობს ფილიალებს პრაღაში, ბერლინში, კიევსა და თბილისში. ორგანიზაციას სათავეში უდგას დევიდ კრამერი - აშშ სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე „დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის“ საქმეებში. სხვათა შორის, ის არის ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ სანქციების დაწესების ერთ-ერთი ინიციატორი.

საინტერესოა, რომ ამ ორგანიზაციის უკან დგას ცნობილი მილიარდერი მიხაილ ხოდორკოვსკი.

არსებობს, აგრეთვე, ორგანიზაცია „ღია რუსეთიც“, რომელიც, ასევე, მიხაილ ხოდორკოვსის და მის დაფინანსებას უკავშირდება. ურთიერთკავშირის აფიშირება არ ხდება, თუმცა არსებობს ასეთი კავშირები.

„თავისუფალი რუსეთის“ დამაარსებელი კუროპტევის მსგავსი ემიგრირებული რუსები მჭიდროდ მოქმედებენ საქართველოში ადგილობრივ დესტრუქციულ ოპოზიციასთან, რომელიც აქტიურად ცდილობს, საქართველო რუსეთს შეეჯახოს და მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლების იმედებს იტოვებს.

პოლიტიკურმა ემიგრანტებმა ჩვენს ქვეყანაში ადაპტაცია უკვე გაიარეს და ოპოზიციის მხრიდან ღებულობენ პოლიტიკურ, მორალურ და იურიდიულ მხარდაჭერას. ასეთ პირობებში ემიგრანტები თავისუფლად ატარებენ ჩვენს ტერიტორიაზე ანტირუსულ მიტინგებს, მოუწოდებენ ამჟამინდელი რუსეთის ხელისუფლების დამხობისკენ, მართავენ მრგვალ მაგიდებსა და კონფერენციებს არა სამეცნიერო მოხსენებებით, არამედ ღიად ექსტრემისტული საკითხებით...

გიგა ბოკერია, რომელმაც გააჟღერა ბაკურიანში გამართული ოპოზიციის კონსულტაციები ამერიკელ პოლიტიკურ კონსულტანტ პიტერ აკერმანთან, „ხელისუფლების არაძალადობრივი შეცვლის მეთოდების“ თაობაზე, ფაქტობრივად, კურირებს საქართველოში „თავისუფალი რუსეთის“ მოღვაწეობას. პარლამენტის შენობის წინ „ევროპული საქართველოსა“ და ელენე ხოშტარიას მიერ „თავისუფალ რუსეთთან“ ერთად გამართული ანტირუსული მიტინგები არა იმდენად ანტირუსულია, რამდენადაც მიმართულია საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ...

არ უნდა დაგვავიწყდეს ვიტალი შკლიაროვიც ბელორუსი ე. წ. „პოლიტტექნოლოგი“, რომელიც 2018 წელს, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებზე, „ნაცმოძრაობის“ კანდიდატს უწევდა დახმარებას. ის გახლავთ ბელორუსიაში 2020 წელს მომხდარი არეულობების ერთ-ერთი მამოძრავებელი, როდესაც პრეზიდენტად კვლავ არჩეული ლუკაშენკოს დამხობას ცდილობდნენ. ამის გამო იგი ბელორუსმა სამართალდამცავებმა დააკავეს, მისი ბრალი დამტკიცდა და სასამართლომ სასჯელი მიუსაჯა, თუმცა მალევე მინსკში მაშინდელი აშშ სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ჩავიდა და შკლიაროვისთვისაც „მოიცალა“. „პოლიტტექნოლოგი“ ჯერ ციხიდან შინაპატიმრობაში გადაიყვანეს, რის შემდეგ საკმაოდ მალე საერთოდ გაათავისუფლეს და ამერიკაში გაუშვეს. ახლა ეს შკლიაროვი საქართველოშია და „თავისუფალ რუსეთთან“ თანამშრომლობს.

— გასაგებია, ანუ მიმდინარეობს აშკარა ანტირუსული მოძრაობები კონფლიქტების გასაღვივებლად რუსეთთან...

— როგორც ბოკერია, ისე კუროპტევი, დაინტერესებულნი არიან რუსეთიდან, ბელორუსიიდან და ა. შ., საქართველოში ანტირუსულად განწყობილი მიგრანტების ახალი ტალღის მოდინებაში.

კუროპტევი ემიგრანტების მონაწილეობით მართავს მიტინგებს თბილისსა და საქართველოს

ეგორ კურაპტევი და გიგა ბოკერია

სხვა ქალაქების ცენტრში ლოზუნგით - „პუტინი მკვლელია“.

საინტერესო ისაა, რომ ორგანიზაცია „თავისუფალი რუსეთი“ დიდუბის რაიონშია დარეგისტრირებული, პარალელურად, 2021 წლის 12 ივლისს რეგისტრაცია კიდევ ერთმა ორგანიზაციას „სამოქალაქო იდეებს“ აქვს გავლილი.

კუროპტევს 2021 წელს უფიქსირდება ფულადი შემოსავალი კომპანია „კოკა-კოლასგან“. როგორც ცნობილია, „კოკა-კოლას“ ქართული კომპანიის მფლობელი თემურ ჭყონია არსებული ხელისუფლების ოპონირებას ეწევა.

კიდევ ერთი საინტერესო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში გამოჩნდა და რუსი ოპოზიციონრებისგან შედგება, არის ჩონფლიცტ **Intelligence Team,** შემოკლებით - **CIT.** უფრო ზუსტად რომ ითქვას, ეს არა პარტიული აზრით ოპოზიციური ორგანიზაციაა, არამედ უფრო თავის სახელწოდებას რომ ამართლებს, პირდაპირი გაგებით - სადაზვერვო, ნაწილობრივ საჯაშუშო ორგანიზაცია. 2014 წელს შექმნილ **CIT**-ს, მაშინ მას სხვა სახელწოდება ჰქონდა - **“War in Ukraine”**. ორგანიზაციას სათავეში უდგას რუსეთის მოქალაქე რუსლან ლევიევი. სწორედ ასე წარმოუდგება იგი ფართო პუბლიკას, თუმცა მისი ნამდვილი სახელია რუსლან ლეონიდის ძე კარპუკი.

ქართველ სამართალდამცავებს, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ლევიევის მოხვედრა თბილისში და აქ მისთვის სამუშაო პირობების შექმნა, წარმოუდგენიათ, რა რისკის წინაშე ვდგებით? ჩვენი მთავრობა ამბობს, რომ დაუშვებელია საქართველოს ჩათრევა უკრაინის ომში, მაგრამ ეს სწორედ ასეა - ჩვენ გვითრევენ ჰიბრიდულ ომში.

ლევიევის **CIT**-ის ამოცანა **“Bellingcat”**-ის ამოცანის იდენტურია - ვითომ ობიექტური ჟურნალისტური გამოძიებებით რუსეთის და

რუსლან კარპუკი და მიხაილ ნაკი

მისი ოფიციალური წარმომადგენლების, სამხედროების, პოლიტიკოსების და სხვების სანქციონირებისათვის ნიადაგის მომზადება. ასე იყო 2014 წლიდან მოყოლებული არაერთხელ. მოსკოვში ყოველივე ამას ითმენდნენ, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ იქნება. საქართველოს კი არ სჭირდება რუსეთთან კონფლიქტი ზელენსკის გამო და, მით უმეტეს, კუროპტევისა და ლევიევის გამო.

— მაგრამ შესაბამისი სამსახურები, სავარაუდოდ, საქმის კურსში იქნებიან..

— სუს-ში ამტკიცებენ, რომ მთლიანად აკონტროლებენ ქვეყნის უსაფრთხოებასა და „აქტიური საფრთხეების კერები“ ქვეყანაში არ შეინიშნება. მაგრამ მე ვამბობ, რომ შეინიშნება. ამიტომ პარლამენტარებს და, არა მხოლოდ მათ, გვსურს შევახსენოთ, რომ საქართველო რუსეთიდან მოვლენილი ანტირუსული ძალების მოსახერხებელი პლატფორმა საკაშვილის მმართველობის დროს იყო. სწორედ მაშინ შეიქმნა და მომზადდა რუსულენოვანი პროპაგანდისტური ნიადაგი, რომელიც მოსკოვის წინააღმდეგ უპირატესად ჩრდილო კავკასიის ფოკუსირებით მოქმედებდა. „ჩერქეზების გენოციდის“ საკითხს, ჩეჩნურ საკითხს და მსგავს ინციდენტებს ვგულისხმობ. ახლა აშკარაა ამ ვითარების განმეორების მცდელობა, ოღონდ კიდევ უფრო დამანგრეველი მიზნებით, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ რუსული, არამედ ქართული ხელისუფლებაც უნდა აღგვას პირისაგან მიწისა, ამიტომ საჭიროა თვალების ფართოდ გახელა და „რუსულ საფრთხეებზე“ წუწუნის ნაცვლად უფრო რეალური საფრთხეების დანახვაც.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ვეჭვობ, რომ ზოგიერთებს ევროპა-ამერიკაში აღიზიანებთ მართლმადიდებლობა და ჩვენი რწმენა

გვესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლდაწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი, პროტოპრესვიტერი, მამა ბასილი მკალავიშვილი

— მოგესალმებით მამა ბასილ...

— სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა.

ჩვენთან არს ღმერთი.

ჩემო ირანდა, სანამ შეკითხვას დამისვამდეთ, მინდა მთელ საქართველოს მივმართო: ქართველნო, მართლმადიდებელნო, მძიმე ჟამი უდგას ჩვენს ქვეყანას — არ ცხრებიან უკუღმართი სექსუალური ორიენტაციის არსებები და საკუთარი ვითომ შეზღუდული უფლებების გაფართოებას და მეტ ლეგიტიმაციას ითხოვენ.

დღეს ჩვენი ვალია, წინ აღვუდგეთ ე.წ ლგბტ-თა წარწყმედილ, საშინელ ბანდას, რათა უკრაინის მსგავსად ჩვენც არ დავისაჯოთ.

ჩემო სულიერნო შვილნო, რაც უფრო გვიახლოვდება უფლის მეორედ მოსვლა, უფრო აქტიურ ფაზაში შედის ლგბტ-თა უმსგავსო ქმედებები.

ყველას გვახსოვს გასული წლის 5 ივლისი, როგორი ძალადობით ცდილობდნენ ბინძური ამორალობის დემონსტრირებას ქალაქის გულში, რასაც წინ აღუდგნენ ერის მართლმორწმუნენი და არ მისცეს საშუალება მზაკვრული გეგმის განხორციელებისა. სხვა ქვენა მიზნებთან ერთად ამ უკუღმართებს სურდათ, ეჩვენებინათ მსოფლიოსთვის, რომ ქრისტეს აღმსაარებელ, უძველეს მართლმადიდებელ ქვეყანაში მიზანს მიაღწიეს.

ამ ბრბოს ზურგს უმაგრებდნენ საკაშვილისა და მისი გამყიდველი ბანდის მიერ მართული ლიბერალური ტელეკომპანიები. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ინგა გრიგოლია, ეკა კვესიტაძე და სხვა სულით დაცემული საქართველოს მოღალატე ე.წ. ჟურნალისტები, რის შემდეგაც, სამწუხაროდ, ეროვნულობის, სარწმუნოების დამცველი გმირი ახალგაზრდები საპყრობილეში გამოკეტეს.

მე, როგორც ჭეშმარიტმა ღვთის მსახურმა, მართლმადიდებელმა მღვდელმა, მოსამართლენი, რომლებმაც ამ ყმაწვილებს უსამართლო განაჩენი გამოუტანეს, ანათემას გადავეცი.

წარმოიდგინეთ, წლეულს, 17 მაისს - ოჯახის სიწმიდის დღეს, უღირსი, სარწმუნოების მოღალატე ვაი-ქართველის ნინო ლომჯარიას თაოსნობით ლგბტ-თა შეკრებაზე მათმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წელს უზნეობის კვირეულს ჩაატარებენ და მკაცრად მიგვანიშნეს: ნუ დაგავიწყდებათ, გასული წლის 5 ივლისი ჯერ არ დამთავრებულაო. ამერიკის ელჩმა კი განაცხადა, რომ საქართველო მზად არის ლგბტ-თა უფლებების დასაცავად.

— მამაო, ქალბატონი დეგნანი ჩვენი მეგობარი და სტარატეგიული პარტნიორი ქვეყნის — ამერიკის ოფიციალური წარმომადგენელია საქართველოში და მას აქვს უფლება, გვირჩიოს...

— რა უნდა გვირჩიოს კელი დეგნანმა, როცა თვით ეს კელი დეგნანი და ნინო ლომჯარია დაქალები არიან. როგორც ჩანს, ქალბატონი ამერიკის ელჩი ვერ ერკვევა ელჩის მოვალეობებში და გასულია მისი თანამდებობრივი ჩარჩოებიდან, რამეთუ ზედმეტად ერევა ჩვენ შინაურ საქმეებში. მეჩვენება, რომ მას სურს მართოს ჩვენი ქვეყანა.

ჩვენ არავის ვუხტებით სახლში, თავს არ ვახვევთ ჩვენ შეხედულებებს, აქედან გამომდინარე, არავის აქვს უფლება გვმართოს თავისი სურვილისამებრ. ქალბატონ კელი დეგნანს ქართველი ხალხის სახელით მინდა ვუთხრა: თუ თქვენი სურვილია ეს, იცოდეთ — ვერ მოესწრებით იმ დღეს, რომ ჩვენს ქვეყანაში ამორალობა და უზნეობა ზეობდეს.

31 მარტს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მიულოცა მოსახლეობას ტრანსგენდერთა საერთაშორისო დღე და განაცხადა: „ყველას, ვინც ამ საერთაშორისო დღეს აღნიშნავს, მინდა გითხრათ - ჩემი ოჯახი, კამალა ჰარისი და მთელი ჩვენი ადმინსტრაცია, გიღებთ ისეთებად, როგორებიც ხართ, ანუ ღვთის ხატის მსგავსებად. ტრანსგენდერი იმსახურებს ღირსეულად, პატივისცემით მოპყრობას და მხარდაჭერას.“

თავის ქმედებებში ყველა ადამიანი თავისუფალია, კარს მიღმა ვისაც რაც უნდა, ის აკეთოს, მაგრამ ჩვენთან, მართლმადიდებელი აღმსარებლობის ქვეყანაში, სიბილწის დემონსტრირებას ვერ მიაღწევენ. ყველამ უწყით, რისთვის მოსრა უფალმა სოდომ-გომორი. სწორედ იმისთვის, რასაც თავს გვახვევენ. ჩვენ კი, რატომღაც, ვერ ვაცნობიერებთ, რისთვის ვისჯებით ღვთისგან. დღევანდელი ტრაგიკული მდგომარეობა, ომი უკრაინასა და რუსეთს შორის, რომელშიც გამარჯვებული არც ერთი მხარე არ იქნება, ღვთის სასჯელია. გავიხსენოთ, ყირიმში როდიდან ტარდებოდა ფართომასშტაბიანი ლგბტ პრაიდები, ასევე უკრაინაში პირწავარდნილ იეღოველთა მასობრივი გამოსვლები; მათ სტადიონები ეთმობოდათ. უზნეო, ღვთისმგმობ გამოსვლებში თვით უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი იღებდა მონაწილეობას ქალის სამოსში გახვეული.

— მამა ბასილ, საქართველოს ევროკავშირის წევრ კანდიდატად დასახელებას გვპირდებიან, მაგრამ ოპოზიცია ამას ხელს უშლის ყველა საშუალებით. სამართლიანია მათი ქმედებები?

— დღეს ჩვენ იმ ევროპისკენ მივიჩქარით, რომელთაც შემოგვაჩეჩეს ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელშიც ჩადებულია გაკვეთილები, რაც თითქოს უნდა ჩავაბაროთ. მთავარი გაკვეთილი ითვალისწინებს უზნეობის ჩანერგვას ერში, რწმენის, მართლმადიდებლობის აღმოფხვრას. იმპერიები გადაშენდა, საქართვლო კი, ეს პატარა ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რომ ოდითგან შინაური თუ მომხვდური მტრების შემოტევის ქარცეცხლში მიაბიჯებს, დღეს დგას თავისი ღირსებით, ტრადიციებით, იდენტობით. რაც მთავარია რწმენით, რამეთუ იბერია ღვთივრჩეულია და წილხვედრი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელისა.

ვამაყობთ წარსული საუკუნეებით, აწმყოთი ვერაფრით დაგამშვიდებთ, რამეთუ მსოფლიოს მასონური შავ-ბნელი ძალები, შინაურ მტერზე დაყრდნობით, ყოველ ღონეს მიმართავენ საქართველო ჩაითრიონ აღვირახსნილობის, სიბილწის, სოდომის ცოდვის მორევში.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ღვთივკურთხეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია განვდევნეთ სამშობლოდან, 90-ანი წლებიდან მოყოლებული უფლისგან დასჯილები მრავალი არასასიამოვნო გამოწვევის პირისპირ აღმოვჩნდით და დღეს ვაი-ექს-პრეზიდენტების წყალობით (სააკაშვილი - შევარდნაძე) გაყიდული, ტერიტორიებდაკარგული, გაჩანაგებული, გახლეჩილი საქართველო შეგვრჩა უამრავი პრობლემით, უაღრესად გაჭირვებული ხალხით. სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ, ყოველივეს მოგვარებას ხელისუფლებიდან მოვითხოვთ, ამას ემატება ეს ე.წ ოპოზიცია, რომელიც, სინამდვილეში, შინაური მტრები არიან, უმიზნო, არაფრისმაქნისი, უპერსპექტივო, ბოროტებით, ღვარძლით, შურით სავსე ნაც.სექტის თაოსნობით.

ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, მართლაც მძიმე ჯვარი ერგო. ეს მისი უდიდესი გამოცდა და საწინდარია ცხოვნებისთვის.

ირაკლი ღარიბაშვილი არის კაცი, რომელმაც ერთხელ უკვე დათმო თანამდებობა ოჯახის სიწმიდის დაცვისათვის.

საქმე ისაა, რომ ლგბტ-თა და მის დამცველთა შემოტევები მანამ არ აღმოიფხვრება, სანამ ოკეანესგაღმელებს ხმამაღლა, კატეგორიულად არ ვეტყვით: საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელიც მატერიალური, ეკონომიკური დაპირებების, მიწიერი დროებითი წარმატებების საპირწონედ დათმობს ღირსეულ ზვარაკად შეწირულ წინაპართა მონაპოვარს, ხაზს გადაუსვამს მათი სისხლით ნაწერ ისტორიას. მე ვატყობ და ვხვდები, რომ ზოგიერთებს ევროპა-ამერიკაში აღიზიანებთ მართლმადიდებლობა და ჩვენი რწმენა.

ამიტომაც ვედრებით მივმართოთ უდიდეს წმიდა მამას ილარიონ ქართველს: „ღირსო მამაო ილარიონ ქართველო, ჩაგვბერე ჩვენ, შენს უღირს შვილებს, შენი მაღალი სული, რომ შენებრ ვაცოდინოთ ყველას ღირებულება ქართველობისა და ქართულის ენისა.“

„როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“ — თქვა რაფიელ ერისთავმა.

ასეთ ბრძენთა ნაამაგარზე დგას ჩვენი ქვეყანა ისე მყარად, რომ ვერვინ შეარყევს მის ფუძეს, ვერვინ შებღალავს მის ღირებულებას, ვერვინ წარხოცავს ქართველობას, საზეპურო ძირძველ ენას, მის ცნობიერებაში ვერვინ ამოშლის უფალ იესო ქრისტეს მცნებებს, მის დანატოვარს, მართლმადიდებლობას, ერთადერთ ჭეშმარიტ რწმენას, მიმყვანებელს თითოეული ჩუენთაგანისა უზენაესის სასუფეველში სულის ცხოვნებისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მისი „უპრინციპულესობა“...
ანუ, ქალო, შედი „ბუტკაში“!

გიორგი გახარიას (იგივე „გახჩოს“) ქალებზე აქამდე არაფერს ვამბობდი, მეგონა, სინდის-ნამუსს შეირჩენდნენ და ერთი ადგილის თამაშს არ მოჰყვებოდნენ. ესენი ერთ დროს „ქართული ოცნების“ თავგადამკვდარი ფანები იყვნენ, შემდეგ კი, როცა ბატონ „გახჩოს“ ცუღლუტობანი გამოუქექეს, „ნაცებთან“ კურკური შეუმჩნიეს, ფართე კაბინეტიდან უდროო დროს გამობუნძულდა და ესენიც მის მხარეს გადაიკრიფნენ, რაღაცნაირები გახდნენ - თან ნაცობენ, თან ვერ ნაცობენ („ეგრეხებათსავით“) და იმასაც ვერ ატყობენ, რომ ამასობაში უფრო დამახინჯდნენ, სწორედ ისე, როგორც ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმაშია“. ამჯერად მათ მეტად აღარ დავახასიათებ, მხოლოდ ერთ მათგანს გაგაცნობთ ახალი რაკურსით - სოფიო ხორგუანს, მეტად „პრინციპულ“ ადამიანს, რომელმაც პოლიტიკაში ვერაფერს მიაღწია, ვერაფერი გააკეთა და გაბოროტდა, დაბოღმიანდა, კლიმაქსიანს დაემსგავსა. ვერაფერს ვიზამთ, ეგეთია „გადაგახჩოებულ“ მდედრთა ბედი. ისე, მერე რომ არ დამავიწყდეს, ბარემ აქვე აღვნიშნავ, ძალიან ბრძენ ხალხს უცხოვრია მთაწმინდის რაიონში, შუალედური არჩევნებისას პარლამენტში რომ არ „შეაბრძანეს“, იცოდნენ, ხმის მისაცემი „მადმუაზელი“ რომ არ იყო.

იგი (სოფიო ხორგუანი დაიბადა 1974 წელს გულრიფშში. როგორც ქართულ ვიკიპედიაში მის შესახებ ვკითხულობთ, ეროვნებით ქართველია და თანაც ადამიანის უფლებათა დამცველი, ბიზნესმენი, პოლიტიკოსი. კარგი, ჰო, ვინაიდან და რადგანაც, 2007-2009 წლებში სახალხო დამცველის მოადგილე გახლდათ, ადამიანის უფლებათა დამცველად მოვიხსენიოთ, მაგრამ მისი ბიზნესმენობა და პოლიტიკოსობა ცოტა ხმამაღლა ნათქვამი ხომ არ არის? თუმცა „გახჩოს“ ქალებს ყველაფერი ეპატიებათ, ისინი ყოვლისმომცველნი არიან და თანაც უაღრესად პრინციპულები, უპრინციპულესები, ვიიიიიიიშ!

ჰოდა, იმას ვამბობდი... მან (სოფიო ხორგუანმა)1996 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოლოგიური ფაკულტეტი გერმანული ენის სპეციალობით. 2000 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა გერმანული ლიტერატურის სპეციალობით. დასრულებული აქვს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციასთან არსებული დიქტორთა და წამყვანთა კურსები, თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა, მარშალის უსაფრთხოების სწავლების ცენტრი, თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მაგისტრატურა, სპეციალობა – „საჯარო სამართალი“. მუშაობდა მასწავლებლად, ჟურნალისტად. ერთი პერიოდი იყო რესპუბლიკური პარტიის აქტიური წევრი. ხედავთ, როგორი სიღრმისეული და მრავალფეროვანი განათლება აქვს მიღებული? ძმები თუ დები ბერძენიშვილების სკოლაც კი გაუვლია. ბიოგრაფიის თანახმად, ჟურნალისტიც ყოფილა... ისე, მე რომ მისი ჟურნალისტობა არ გამიგია, ნეტავ ჩემი გაუნათლებლობის ბრალია თუ უბრალოდ ტრაბახობს? ალბათ ისეთი ჟურნალისტია, როგორი პუბლიცისტიც თაკო ჩარკვიანია.

მისი (სოფიო ხორგუანის) ბიოგრაფია ნაკლულია, 2011-ში ირაკლი ოქრუაშვილის „ქართული პარტიის“ პოლიტსაბჭოს წევრი რომ იყო, წაშლილი აქვს, ვითომც არაფერი, ვითომც ოქრუაშვილს არც კი იცნობს. არადა, იმ წლის 23 მაისს ასეთ კომენტარებს აკეთებდა:

„ირაკლი ოქრუაშვილი 25 მაისს საქართველოში იქნება, თბილისში სწორედ ამ დღეს გამოჩნდება. სრული შემადგენლობით 25 მაისს გამოვცახდდებით აქციაზე და ჩვენ მოვალთ ხელისუფლებაში“!

დიახ, გაიხსენეთ, 2011-სა წელსა, 26-სსა მაისსა, ესა და ირაკლა მოვიდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ 2012 წლის შემოდგომაზე ძალაუფლება ბიძინა ივანიშვილს დაუთმეს. იცით, რატომ წაშალა მადმუაზელ ხორგუანმა თავისი ბიოგრაფიიდან ეგ მომენტი? თავიდან მეც თქვენსავით მეგონა, რცხვენია-მეთქი, მაგრამ ეგრე არა ყოფილა, იმდენად თავმდაბალია, რომ ასეთი ღირსშესანიშნაობის გამოჩენისა ერიდება, წითლდება, შინაურობაში იძახის, განა რა გავაკეთე ისეთი, ასერიგად რომ მაფასებთო? რას ჰქვია, რა გააკეთა? ქალი ხელისუფლებაში მოვიდა და რამდენიმე თვეში გადადგა.

სანამ ის (მისტერ გახჩო) პრემიერ-მინისტრი გახლდათ, სოფი ლორენი კი არა და... სოფიო ხორგუანი ხელისუფლებას ქებით ძირს აგდებინებდა, ჩამოჯდებოდა ხოლმე ტელევიზორში და შენ დაუკააააა! ეხლა აღარ, ეხლა მისი ცნობიერება შეიცვალა, გადახალისდა, რეფორმა განიცადა, განიწმინდა, მისი გული მის პარტიაში განითესა და აღმოცენდა. ჯერ დღევანდელი ხელისუფლება აითვალწუნა, შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილი „აიგდო“, არადა, იყო დრო, მასთან სურათის გადაღებაზე ოცნებობდა, შუამავლებს ეძებდა, ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა. რაკიღა ფეხი არ ჩაუვიდა, შემდეგ საწყალობელიც კი უწოდა. წარმოგიდგენიათ? მართლა საწყალობელი ხორგუანი ირაკლი ღარიბაშვილს საწყალობელს, ანუ საწყალს ეძახის და ამასთან, ემუქრება კიდევაც, თუ ევროკავშირის კანდიდატად არ მიგვიღებენ, კომბლებით მოგივარდებითო. მოდით, ვნახოთ, რას ბოდიალობს, ანუ რას პროზაიკოსობს სოფიო ხორგუანი თავის „საფეისბუქო“ გვერდზე:

„კორუფცია შევარდნაძის დროს უკონტროლო და მინდორ-ველად გაშლილი იყო, ბიუჯეტის შეგროვებამდე. სააკაშვილის დროს კორუფცია „ელიტური" გახდა, განდობილთა ვიწრო წრეში დალაგებული, შემადგენლობის ცვლილებას მიბმული, შეგროვებული ბიუჯეტიდან. დღეს გვაქვს ამ ორის მახინჯი ნაჯვარი, ბიუჯეტამდეც და ბიუჯეტიდანაც, გავრცობილი „ელიტით" და უკონტროლო პრივილეგირებულებით. ასე რომ არ იყოს, დღეს კავკასიაში წამყვანი სახელმწიფო ვიქნებოდით. თუმცა, ესეც გაივლის, საქართველო თავის ფუნქციასაც დაიბრუნებს და მისიასაც შეასრულებს. ტროლ-ბოტებით, დაქირავებული ფეხთამლოკებითა და ფარისევლებით ისინი შეაშინეთ, ვინც აქამდე შეგიშინებიათ. ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, სამშობლო კი ერთია“!

გაიგონეთ? „გენიოსია“ ეს ქალი, ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, სამშობლო კი ერთიაო. გინდათ, გაგიშიფროთ მისი უვიცობანი? ესე იგი, ხელისუფლებები კი არ მიდიან და მოდიან, მოდიან და მიდიან... უკუღმაა მაი ამბავი, ასინეთა, უკუღმა!

რა თქმა უნდა, სამშობლო ერთია, მაგრამ ხელისუფლებების წასვლა-მოსვლა აქ რა შუაშია? ადე, ქალო, სანამ ვინმეს რამეზე შეედავები, ჯერ გაარკვიე, ეს ვინ თქვა და რანაირად თქვა. დიახ, აგი სიტყვები (ლექსი „სამშობლო ხევსურისა“) ეკუთვნის რაფიელ ერისთავს. დაწერა 1881 წლის მკათათვეში (მცირე ამონარიდი):

„სამშობლო, დედის ძუძუი,
არ გაიცვლების სხვაზედა,
როგორც უფალი,
სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

მაიცა, სოფოჯან, მარტო ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, ანუ მოდიან და მიდიან? ყველა მიდის და მოდის, ანუ ჯერ მიდის და მერე მოდის, მხოლოდ უფალი რჩება, მიწა რჩება - უფალი არის მარადიული, სამშობლოც არის მარადიული. თუმცა ზოგისთვის იგი (სამშობლო) არ გახლავს ერთი, ზოგს, მაგალითად, იმას (შენს „უმფროს“ „გახჩევანს“) ორი აქვს - რუსეთი და საქართველო, ნახევარი ცხოვრება იქ გაატარა, ნახევარს აქ ატარებს, პასპორტში ხან ის ეწერა, ხან კიდე ესა. ამიტომ, როცა იძახი, რუსეთი უნდა განადგურდესო, „პუტლერ კაპუტო“, ჯერ კარგად გადაამოწმე, იმას ესიამოვნება? იიიი... გოოო... შეიძლება გავლისას ხელიც აგიწიოს, თვალიც ჩაგიკრას, მაგრამ ეგეთი რაღაცები გულში ჩაიდოს.

უკვე გითხარით, ეს ქალი უვიციამეთქი... ნახეთ შემდეგი მისი „ბრძნული“ მოსაზრებანი (სტილი დაცულია):

„შემთხვევითი ადამიანები გვყავს პოლიტიკაში, ვისაც უნდა ფულის შოვნა ან რაც იშოვა იმის შენარჩუნება, ეს არის პრობლემა... პრობლემა ის არის, რომ რატი ბრეგაძეს არ ესმის, რომ იმ სააკაშვილის მოსამსახურეც არის... მას არ ესმის, იქ რატომ არის, ჰგონია, რომ ეს დამსახურებულად აქვს... ესენი დროებით და შემთხვევით მოხვედრილი ხალხია“.

გულახდილად გეტყვით, მე პირადად ვერ ვიტან ისეთ ადამიანებს, მთელი ცხოვრება ხელისუფლებას რომ მისჩერებიან და ამუნათებენ: იცით, რა? ნება იბოძეთ, გვემსახურეთ, ჩვენ დაგიქირავეთ, ხელფასებს გიხდით, ჩვენი ფულით არსებობთ! როგორც წესი, ასეთები არაფერს ქმნიან, ასეთებისა ერთი თეთრიც არ შედის ბიუჯეტში, უბრალოდ მათ საყვედურებში ამოსდით სული. უკაცრავად, მაგრამ ასეთი მიდგომა მაგარი გოიმობა მგონია და ასეთივე გოიმი გახლავთ ის მადმუაზელი, რომელზეც ამჯერად ვუბნობ და რომელიც წესით „ბუტკაში“ უნდა იჯდეს. ხედავთ? რატი ბრეგაძემ არ იცის, სად არის და რას აკეთებს, განა ეგ სააკაშვილის მოსამსახურეც არისო? რატომ მოსამსახურე, ხომ შეიძლება ცოტა უფრო ზრდილობიანი ფორმით ვახსენოთ ეს ადამიანი? ჯერ ერთი, სააკაშვილის მოსამსახურე არავინ არის... და მეორეც - რამე დააკლეს ამ რეგვენს? სხვებს უკეთესად ექცევიან და ეს დაჩაგრეს? აააარააა, მადმუაზელ, აქ სააკაშვილის მხარეს იჟერ, მაგრამ თან გიტყდება, ემანდ ნაცობა არ დაგაბრალონ. ჰა, ჰა, ჰა... თუ ვინმე მოხვდა პოლიტიკაში შემთხვევით, ეს გიორგი გახარიაა - მამამისმა მიაკითხა დიად „ხუხას“, რომელსაც იმ პერიოდში „პარადი“ მიჰყავდა, შვილი ჩამომივიდა მოსკოვიდან, აქ უნდა დასაქმება, ნახეთ, გაესაუბრეთ, ეგებ გამოგადგეთ რამეშიო. დიად „ხუხას“ არ უნახავს, მაგისთვის არ ეცალა, შემთხვევით გაახსენდა, პირდაპირ შტაბში დაიბარა და გაუმართლა, ბიზნეს-ომბუდსმენად გაამწესეს. შემთხვევითი პოლიტიკოსებიო, კაცოოო, მაგაზე მეტი შემთხვევითობა რაღა გინდათ?

იმის (სოფიო ხორგუანის) შემდეგი ბოდვანი (სტილი დაცულია):

„დღეს რომ პრემიერია, იმ კაცს გადაეცით, რაც მეტ ტროლ-ბოტს მომიქსევს, საკუთარ სიმხდალესა და მავნებლობას მეტად ამჟღავნებს. პირველად რომ გაუშვეს პრემიერობიდან და კაბინეტიდან ძლივს გამოვიდა, როგორც ჩანს, ჭკუა ვერ ისწავლა. ვერც ადამიანების ცნობა. სახელმწიფო რომ არ ესმის, ეგ მედარდება მხოლოდ. სახელმწიფო სამშობლოსთვის გვჭირდება. სამშობლო კი ყველაფერზე მეტია“!

„ეს საწყალობელი ღარიბაშვილი მსოფლიოს მე-5 მდიდარ კაცს რომ შეხვდა დავოსში და ეგ რომ გვაქვს ტოპ-ამბავი და გუშინ იქ გამგზავრებამდე რაღაც კრიპტოკომპანიას სულ შურის ბრალია, შურთ ჩვენი შტატებსა და ევროპას, აქ რომ წინ ვუსწრებთ და პროგრესი და კეთილდღეობა გვაქვს, რა ეგონათ?! ქართული ოცნება სულ რომ ტალახში გაგორდეთ და თავზე ნაცარი დაიყაროთ ნაცმოსთან ერთად, მაინც მივიღებთ კანდიდატის სტატუსს. აბა, გაბედეთ და გააფუჭეთ რამე, კომბლებით მოგადგებით სახლში“.

სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში ზოგს ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე... ესე იგი, ამასაც ჰგონია, ირაკლი ღარიბაშვილი 24 საათის განმავლობაში ხორგუანის „პიროვნებით“ არის დაკავებული და ვერც კი დაიჯერებთ, ჭორაობით ხომ არ კმაყოფილდება, ახლა კიდევ სამთავრობო საიტიც დაუბლოკა, ვეღარ შედის, ინფორმაციას ვეღარ კითხულობს. მეტიც, ღარიბაშვილმა იმდენი ტროლი, ბოტი და დაქირავებული მიუქსია სოციალურ ქსელებში ლაიქებსაც კი მის (ხორგუანის) მაგივრად სვამენ. რაც მეტს იჭორავებთ ჩემზე, მეტად მოვიცლი თქვენთვისო, წერს ის (ხორგუანი) და ამით ერთგვარად „ტრაბახობს“, მოსახლეობას მიანიშნებს, იმდენად წონიანი პოლიტიკოსი და ბიზნესმენი ვარ, მთელი მთავრობა ჩემზე ნადირობსო. სინამდვილეში კი საქმე ისევ გვაქვს უცოდინრობასთან, როგორც ჩანს, მადმუაზელი იმდენად ვერ ერკვევა ინტერნეტსივრცესა თუ სოციალურ ქსელებში, რაღაცაზე თითი დაეჭირა და საკუთარი თავი თვითონვე დაიბლოკა. საერთოდ, ადამიანისთვის ყველაზე დიდი ტრაგედია ის არის, როცა თავისი პიროვნების ზუსტი წონა არ იცის და ისეთებს ეტოლება, რომლებსაც არც კი ახსოვთ. რომც ახსოვდეთ, იმდენად არ უღირთ, სადმე ახსენონ და მით უმეტეს, ბოტები ან ტროლები მიუსიონ. რაში აინტერესებს პრემიერ ღარიბაშვილს, რას ფიქრობს და რას დაწერს ვინმე სოფიო ხორგუანი?

შედი, ქალო, „ბუტკაში“, ტოლი ნახე, კოჭი გააგორე!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

დავიწყებული დიადი სიტყვა

რა შეიძლება იყოს ის ერთი, ერთადერთი, ყველასთვის საერთო, ყველას გამაერთიანებელი თემა, რომლის გარშემოც შეიძლებოდა მთელი ერი დარაზმულიყო?

უამრავი თემის, უამრავი საკითხის, უამრავი პრობლემის ჩამოთვლა შეგვიძლია, რომლებიც, ცალკე აღებული, უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ საერთო სახალხო საერთო ეროვნული გაერთიანების მიზეზად და მოტივად მაინც ვერ გამოდგება.

მაშინ რა არის ის უმთავრესი და უპირველესი, ის ყველას გამაერთიანებელი, ყველასთვის საერთო რამ, რომელიც წესით და რიგით, თანაბრად უნდა აწუხებდეს და თანაბრად უნდა სტკიოდეს ყველას, მიუხედავად მისი სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა?

რა არის და სამშობლო!

სამშობლო – გლობალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის სატანისტურ ეპოქაში დავიწყებული დიადი სიტყვა.

– რომელი დგას უფრო მაღლა – სამშობლო თუ ჭეშმარიტება? – იკითხა ფილოსოფოსმა და იქვე უპასუხა – ჭეშმარიტებაო.

მცდარი მგონია ეს მოსაზრება, რამეთუ სამშობლოა თავად ჭეშმარიტება და ამდენად, სამშობლოზე მაღლა ჭეშმარიტება დგასო, როცა ამბობ, ეს იგივეა, ჭეშმარიტებაზე მაღლა ჭეშმარიტება დგასო, რომ თქვა.

„ როგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზედა...“

უსამშობლო ადამიანი ადამიანის მაგვარი ბიოლოგიური არსებაა, ვიღაცის მიერ შეკოწიწებული რობოტია, რომელსაც ღმერთის დამღა არ აკრავს.

მთელი ქართული მწერლობა დაწყებული დასაბამიდან დღემდე ერთ საერთო მიზანს ემსახურება – აღზარდოს ქართველ ადამიანში სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი, განუსაზღვროს, განუმარტოს და შეასწავლოს მთავარი მიზანი და დანიშნულება ადამიანის არსებობისა – სამშობლოს მსახურება.

დიახ, შეიძლება ააშენო სახელმწიფო, მაგრამ თუ გონივრულად არ მოიქეცი, ამ სახელმწიფოში ადვილი შესაძლებელია სამშობლო დაგეკარგოს და მის ნაცვლად ახალი დუბაი შეგრჩეს ხელთ ან ახალი სინგაპური.

დიდი სახელმწიფოები ხშირ შემთხვევებში შეთანხმებულად მოქმედებენ ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც რაღაც ფორმით სათანადოდ ვერ ჯდება მათ საერთო ინტერესებში.

საქართველო თავისი აკვიატებული „ენა, მამული სარწმუნოებით“ ჯერჯერობით ვერ ჯდება გლობალიზმის იდეოლოგიურ ჩარჩოში – სამივე ეს ღირებულება, – ენა, მამული, სარწმუნოება, მიუღებელი, უცხო და ხელისშემშლელია გლობალისტური პროცესების განვითარებისათვის.

ამიტომაც სასაცილოა, როცა ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი მოსკოვში დარბის, მეორე ვაშინგტონში, მესამე ბრიუსელში – არიქა, გვიშველეთო.

შველის ნაცვლად კი საქართველო ამ სამივე „წერტილიდან“ ერთდროულად „იბომბება“, იბომბება სხვადასხვა ტიპის ბომბებით - ერთიდან თუჯის ნამსხვრევები ცვივა, მეორედან ფოჩიანი კანფეტები, მესამედან — ნახმარი განდონები.

რით აიხსნება ის ამბავი, რომ ქართველ პოლიტიკოსთა უმრავლესობა ხალხს დემოკრატიის გადასარჩენად მოუწოდებს, მაგრამ არ მოუწოდებს სამშობლოს გადასაჩენად?

დემოკრატია გვინდა, მაგრამ სამშობლო არ გვინდა?

არადა, ეს ყველაფერი სამშობლოს გარეშე სახელმწიფო კი არა სუპერმარკეტია, დიდი,



უზარმაზარი სუპერმარკეტი.

– წინ, სამშობლოსათვის! – დიდი ხანია არავის არ უთქვამს ეს ფრაზა საქართველოში.

– არც ერთი ნაბიჯი უკან. ჩვენს უკან სამშობლოა! – არც ეს უთქვამს ვინმეს და შეიძლება იმიტომაც, რომ არ არის ჩვენს უკან სამშობლო – ჩვენს უკან სუპერმარკეტია.

ამიტომ ხომ არ მოვრბოდით თავქუდმოგლეჯილები 2008 წელს კოდორიდან თუ ცხინვალიდან?

კიდევ კარგი, მდევარმა დაგვინდო და გაჩერდა, თორემ მთელი საქართველო ვირბენდით, სამშობლოს მთა-ბარს გადავირბენდით და ან თურქეთში ამოვყოფდით თავს, ან სომხეთში, ან კიდევ აზერბაიჯანში.

ასე ხდება ხოლმე, სახელმწიფოში, სამშობლოს რომ დაკარგავ.

როცა დავრწმუნდით, რომ არ მოგვდევდნენ, როცა გარანტიები მივიღეთ, რომ მტერი თბილისში არ შემოვიდოდა, დამარცხებულებმა გრანდიოზული მიტინგი გავმართეთ — გავიმარჯვეთო.

დამარცხებულები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

მსგავსი ცინმიზმი არც მინახავს და არც მსმენია...

სიმღერები, ცეკვა-თამაში, ომახიანი გამოსვლები დიდხანს არ შეწყვეტილა, მაგრამ არავის მოუკითხავს სამშობლოს ის ნაწილი, მომხვდური რომ დაეპატრონა.

რაც უკვე დაკარგული გაქვს, რაც არ გაქვს, ის რატომ უნდა მოიკითხო?

გარბიან ქართველები საქართველოდან, მილიონნახევარია უკვე გაქცეული და ერთ ამდენსაც გაქცევაზე უჭირავს თვალი, ოღონდ გაქცევის საშუალება არ აქვთ და რა ქნან?

გარბიან ქართველები ქართული სახელმწიფოდან და სხვა მრავალ მიზეზთა შორის მთავარი მიზეზი ამისა ის გახლავთ, რომ ამ ქართულ სახელმწიფოში ისინი თავიანთ სამშობლოს ვერ ხედავენ. სამშობლოს ვერ გრძნობენ.

ასეთ დროს კი შენი ქვეყნიდან სხვა ქვეყანაში გადასვლა დაახლოებით იგივეა, რაც სუპერმარკეტიდან მეორე სუპერმარკეტში გადარბენა.

ვინც აქ დარჩა, ვინც გაქცევა არ ისურვა, მათი დიდი ნაწილიც ისე ცხოვრობს, თითქოს ემიგრაციაში იყოს, ოღონდ შიდა ემიგრაციაში. ასე ხდება მაშინ, როცა სამშობლოში კი ხარ, მაგრამ სამშობლოში სამშობლოს ვერ ხედავ.

სამშობლო არ არის მხოლოდ მიწა-წყალი, მთა და ბარი, მდინარე და ტყე, ველი და კორდი, მშობლიური სოფელი, საყვარელი ქუჩა და უბანი.

სამშობლო არის ის კულტურა, ის სულიერი ფასეულობები და ღირებულებები, რაც შენმა წინაპრებმა შექმნეს, როცა შენ არ იყავი, არ იყავი მაგრამ აუცილებლად იგულისხმებოდი, რადგან რაც კეთდებოდა ყველაფერი კეთდებოდა შენთვის, ანუ მომავლისთვის.

როცა სამშობლო გაქვს და როცა სამშობლოს პატრონობ, არავინ არ არის მკვდარი, თუნდაც ისინი, რომლებიც ათასი თუ ორიათასი წლის წინათ გარდაიცვალნენ.

ისინი კვდებიან მაშინ, როცა მათი შთამომავლობა სამშობლოსათვის ომს შეწყვეტს.

ამ ოპოზიციური პარტიების ყიყინს რომ ვუსმენ, ვრწმუნდები: მათ არ უყვართ სამშობლო ან უყვართ იმდენზე, რამდენიც მათი პოლიტიკური ამბიციების დასაკმაყოფილებლად კმარა. მათ არ უყვართ ქართველი ხალხი, უფრო ზუსტად, უყვართ ქართველი ხალხის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მათი მხარდამჭერია.

სამშობლოსადმი საერთო სიყვარული, ერთ მუხტად შეკრული სიყვარული არ არსებობს – ის საარჩევნო ხმებად ნაწილდება და ქუცმაცდება.

ცხოველის „სამშობლო“ ბუნაგია.

როცა ადამიანი სამშობლოს ბუნაგთან აიგივებს, სადაც შეიძლება კომფორტულად და მაძღრად იცხოვრო, ასეთი ადამიანიც ცხოველია.

ვახტანგ ხარჩილავა
ფრაგმენტები წერილიდან
2019 **წელი**

„აშშ-ის ადმინისტრაცია ქვეყნის ეკონომიკას კანალიზაციაში უშვებს“...

ომი თუ მშვიდობა? — მთავარი კითხვა, რომელიც უკრაინაში მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის გახსენებისას ჩნდება.

მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მეთაურები, ერთის მხრივ, უკრაინის ხელისუფლებას მოუწოდებენ, მოლაპარაკება გამართონ რუსეთთან და იმავდროულად, დიდძალ იარაღს აწვდიან. გასულ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, უკრაინას, დამატებით, 700 მილიონი დოლარის ღირებულების იარაღს გადასცემენ. მათ შორის რეაქტიულ საარტილერიო დანადგარებს. პრეზიდენტი ჯო ბაიდენის განცხადებით, უკრაინას გამარჯვების მიღწევაში კვლავაც დაეხმარებიან.

სამხედრო ექსპერტები დღესაც

არ გამორიცხავენ, რომ რეაქტიული საარტილერიო დანადგარებით უკრაინელები უშუალოდ რუსეთის ტერიტორიაზე განახორციელებენ შეტევას. ბაიდენმა თავი დაიზღვია. მისი თქმით, უკრაინას ისეთ იარაღს არ მიაწვდიან, რომ რუსეთის ტერიტორიას შეუტიონ, რის წინააღმდეგიც თავად არის. სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განაცხადა, რომ უკრაინელები რუსეთის ტერიტორიებს არ შეუტევენ, თუმცა ყირიმზე შეტევას ირიბად დაეთანხმა, რადგან რუსეთის ტერიტორიად არ აღიარებენ.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელისუფლება ყირიმზე შეტევას განსაკუთრებული სიმწვავით აღიქვამს და სავარაუდოდ, სასტიკ პასუხს გასცემს, რასაც კრემლში ღიად აცხადებენ.

გასულ კვირას გამოქვეყნდა ჯო ბაიდენის სტატია, სადაც ის წერს: „...მსურს ვიხილო დამოუკიდებელი, ძლიერი, სუვერენული უკრაინა“. ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს, რომ სტატიაში არაფერია ნათქვამი, რომელ საზღვრებში სურს ბაიდენს უკრაინის ხილვა — საერთაშორისო ნორმებში აღიარებული თუ დღეს არსებული. მათი გამოთვლებით, რუსეთმა უკრაინას უკვე 144 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია ჩამოაჭრა და წინსვლას კვლავ აგრძელებს.

ვაშინგტონში ვიზიტით იმყოფებოდა ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, რომელიც შეხვდა ჯო ბაიუდენს და ენტონი ბლინკენს. გენმდივნის ჩასვლის მიზანი უცნობი დარჩა, თუმცა პოლიტოლოგების ნაწილი აღნიშნავს ალიანსში არსებულ უთანხმოებას. სტოლტენბერგთან შეხვედრის შემდეგ ბაიდენი ინიციატივით გამოვიდა — არსებული სანქციების მიუხედავად, რუსეთისგან დროებით დაიწყონ ნავთობის შეძენა საბაზრო ფასზე ნაკლებად, რათა ფინანსურად დააზარალონ. იდეამ ეკონომისტებში ღიმილი გამოიწვია.

ნატოში არსებული უთანხმოება აშკარა ხდება. იმის გარდა, რომ თურქეთი წინააღმდეგია ალიანსში ახალი წევრების — ფინეთისა და შვედეთის მიღების, ამჯერად, საბერძნეთს დაუპირისპირდა. თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა განაცხადა, რომ აღარ გამართავს ორმხრივ მოლაპარაკებებს ბერძნებთან. საგარეო საქმეთა მინისრტრმა მევლუდ ჩაუშოღლუმ ბერძნები ეგეოსის ზღვის მილიტარიზაციაში დაადანაშაულა. „ნურავინ ეცდება ჩვენს დაშინებას“, — განაცხადა ერდოღანმა.

აქვე სათქმელია, რომ თურქეთმა დაიწყო ერაყელი და სირიელი ქურთების წინააღმდეგ ანტიტერორისტული ოპერაცია. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ერდოღანმა სამყაროში არსებული ქაოსით ისარგებლა და თავისი თამაში წამოიწყო. რუსეთის სანქციებზე მიერთებაზე სასტიკი უარი განაცხადა და ბოსფორის სრუტე არა შავი ზღვის ქვეყნების სამხედრო გემებისთვის ჩაკეტა.

რეგიონში ახალი, ძლიერი მოთამაშე გამოჩნდა. ნატო და ევროკავშირი ვერაფერს უპირისპირებდნენ, დუმს აშშ-ის ადმინისტრაცია.

შეიარაღების მიწოდებას უკრაინისთვის გეგმავენ საბერძნეთი და ესპანეთი. ბერძნები საბჭოეთის გამოშვებულ ქვეითთა ბრონირებულ მანქანებს გადასცემენ, ესპანელები გერმანულ, უკვე მოძველებულ ტანკებს და ბრონეტექნიკას.

უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე საყურადღებო განცხადება გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგეი რიბკოვმა: „როგორც არ უნდა შეფუთონ უკრაინისთვის იარაღის მიწოდება, ამით აშშ უახლოვდება რუსეთთან პირისპირ შეიარაღებულ შეტაკებას“. რუსეთის გარდა უკრაინისთვის უკონტროლოდ იარაღის მიწოდებით ინტერპოლშიც შეშფოთდნენ. ორგანიზაციის ხელმძღვანელების განცხადებით, უკრაინელებისთვის განკუთვნილი შეიარაღება შესაძლოა, სხვა კონტინენტზე აღმოჩნდეს. მათივე თქმით, უკვე დააფიქსირეს არალეგალურად გაყიდვის ფაქტები.

გამოცემა „უოლსტრიტ ჯორნალი“ წერს, რომ დასავლეთის ქვეყნებს შორის, ძირითადად, ნატოსა და ევროკავშირის უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე უთანხმოება გაჩნდა. ცალკეული ქვეყნები ფეხს ითრევენ შეაიარაღონ უკრაინა. შვეიცარიამ საერთოდ შემოდგომამდე გადადო იარაღის მიწოდება. არც გერმანელები ჩქარობენ, რისთვისაც უკრაინელების კრიტიკა დაიმსახურეს.

„როდესაც დახმარებას ითხოვ, ისე არ უნდა ელაპარაკო ევროპის ქვეყნების მეთაურებს, რის უფლებასაც ზელენსკი აძლევს საკუთარ თავს“.

ბოლო პერიოდში დასავლური პრესა ხშირად აღნიშნავს, რომ აშშ-ის ხელისუფლება ცვლის უკრაინისადმი დამოკიდებულებას. მოკავშირე ქვეყნებთან შეხვედრისას საუბრობენ და განიხილავენ, როგორ მოახერხონ, რუსეთ-უკრაინის მოალაპარაკება. საუბრები უკრაინის გარეშე მიმდინარეობს.

CNN-ის ინფორმაციით, აშშ-ის ხელისუფლებაშიც მსჯელობენ, როგორ შეახვედრონ ერთმანეთს მხარეები. საფრანგეთის პრეზიდენტის იმანუილ მაკრონის თქმით, „...არ შეიძლება ომის დაუსრულებლად გაგრძელება. აუცილებლად უნდა დამთავრდეს ეს კონფლიქტი დიპლომატიური გზით“. ბრიტანული პრესა საუბრობს მსოფლიოში





ბირთვული ომის საშიშროებაზე, გულისხმობენ, ნატოსა და რუსეთს შორის მოსალოდნელ დაპირისპირებას.

ნატოსა და აშშ-ის ოფიციალური პირები კვლავ კატეგორიულად გამორიცხავენ რუსეთთან პირისპირ შეიარაღებულ დაპირისპირებას. თუმცა აცხადებენ, რომ ნებისმიერი საშუალებით არ დაუშვებენ რუსეთის გამარჯვებას.

მშვიდობის დამყარებაზე უკრაინაში არ ფიქრობენ. ზელენსკი გამარჯვებამდე აპირებს ბრძოლის გაგრძელებას და დასავლეთის ქვეყნებს საყვედურობს, რუსეთი სრულ იზოლაციაში არ მოაქციეთო. ამასობაში შეიარაღებულ დაპირისპირებაში იღუპება მშვიდობიანი მოსახლეობა, მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს.

გამართლდა იტალიური გაზეთის „კარერა დე ლა სერას“ ორი კვირის წინ გავრცელებული ინფორმაცია ახალი სამხედრო პოლიტიკური გაერთიანების შექმნის თაობაზე. იდეა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ბორის ჯონსონს ეკუთვნის. გაირკვა, ჯონსონმა გაერთიანების (პირობითი სახელი „ევროპული თანმეგობრობა“) შექმნა აპრილში, კიევში ვიზიტისას შეთავაზა უკრაინელებს. ახალ ორგანიზაციას ჯონსონის იდეით ბრიტანეთი უხელმძღვანელებდა ნატოსათან და აშშ-სთან თანამშორმლობით. წინადადებას უკრაინელები აპრილში გულგრილად შეხვდნენ, რადგან ევროკავშირში სწრაფად გაწევრიანების იმედი ჰქონდათ.

ძნელია, ახლა პროგნოზირება, თუ რა გაგრძელება ექნება ჯონსონის იდეას. იტალიიის პრემიერ-მინისტრმა მარიო დრაგიმ გასულ კვირას პირდაპირ განაცხადა, ევროკავშირის ცალკეული ქვეყნები წინააღმდეგნი არიან ორგანიზაციაში უკრაინის დაჩქარებული წესით გაწევრიანების. ადრე საფრანგეთის პრეზიდენტმა იმანუილ მაკრონმა თქვა ევროკავშირში გაწევრიანებას წლები სჭირდებაო. ამის გარდა, პოლონეთმა, ბულგარეთმა, გერმანიამ უკრაინელ დევნილებს გაუუქმეს შეღავათები. გასაოცარია პოლონელების გადაწყვეტილება. ფაქტობრივად, ქვეყნების გაერთიანებას აპირებენ, გასულ კვირას პრემიერი მატეოშ მორავეცკი კიევში ჩავიდა, სადაც ერთობლივი მთავრობის სხდომა გაიმართა. დევნილებს კი შეღავათები გაუუქმეს.

ჯონსონს სავარძელი მკვეთრად შეერყა. მისი რეიტინგი ერთბაშად 15 პუნქტით დაეცა. ამიტომაც ეძებს მოკავშირეებს ქვეყნის შიგნით და გარეთ.

ყოველდღიურად მწვავდება მსოფლიოში სასურსათო და ეკონომიკური კრიზისი. ექსპერტების შეფასებით, რუსეთისთვის დაწესებულმა სანქციებმა უკუშედეგი გამოიღო. გავრცელებული ინფორმაციით, ბაიდენის გუნდში განხეთქილებაა. მკაცრი სანქციების წინააღმდეგია ფინანსთა სამინისტრო, რადგან შიშობენ, უარყოფითად აისახება აშშ-ის ეკონომიკაზე. თავად ჯო ბაიდენმა დააანონსა, რომ ქვეყანაში ინფლაცია გაგრძელდება და გაიზრდება.

არც საწვავზე და პროდუქტებზე დაიწევს ფასები. ზაფხულში ელექტროენერგიის დეფიციტსაც პროგნოზირებენ. დემოკრატებისადმი ლოიალურად განწყობილი **CNN** ბაიდენს აკრიტიკებს: „აშშ-ის ადმინისტრაცია ქვეყნის ეკონომიკას კანალიზაციაში უშვებს“. მილიარდერმა ილონ მასკიმ თანამშრომლები 10%-ით შეამცირა, რითაც ბაიდენის გულისწყრომა გამოიწვია. ცნობილი ბანკირი ჯეიმი დაიმონი ქვეყნაში ეკონომიკურ ქარიშხალს პროგნოზირებს. მისი თქმით, მოსახლეობაში არსებული დანაზოგი 6-9 თვეს ეყოფათ, შემდეგ...

ვრცელ ინტერვიუში გასულ კვირას რუსეთი პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა აღნიშნა, სამყაროში ეკონომიკური კრიზისი 2020 წელს კოვიდის პანდემიიის პერიოდში დაიწყო. მისივე თქმით, თუ მოიხსნება სანქციები მსოფლიოში არც სასურსათო კრიზისი იქნება, რადგან შეძლებენ ქვეყნების ხორბლით მომარაგებას.

ბრიტანული „ტაიმსის“ მიხედვით, რუსეთმა ხელში აიღო მსოფლიოს ხორბლის ბაზარი. ევროპული გამოცემები აღნიშნავენ: ადრე თუ გვიან დასავლეთს მოუწევს რუსეთთან მოლაპარაკება. უკრაინასთან დაკავშირებით პუტინმა განაცხადა, რომ თუ რუსეთის ტერიტორიებს შეუტევენ, გამოიყენებენ იმ იარაღს, რომლითაც დღემდე არ უსარგებლიათ.

ევროკავშირმა დაამტკიცა რუსეთისთვის სანქციების მე-6 პაკეტი, თუმცა უარავი ხვრელია დატოვებული. სანქციების დაწესებას აპირებდნენ რუსეთის პატრიარქ კირილზე, მაგრამ უნგრეთის პრემიერ-მინისტრის ვიქტორ ორბინის დაჟინებული მოთხოვნით, ამოიღეს სიიდან. დღემდე ისტორიაში არ მომხდარა რომელიმე ქვეყნის სულიერი ლიდერისთვის დაეწესებინოთ სანქციები.

გია ბურდული
551 71 27 07

საქართველოში უნდა აღსდგეს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ! *(მანიფესტი)*

საქართველოში, ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ი ს ქვეყანაში,
საქართველოში, დედაღვთაება ქ ა ლ დ ე ს მოდგმის სამშობლოში,
ამად ჰქვიათ ქორწილებში: კაცს - მეფე და ქალს - დედოფალი,
საქართველოში, საქართველოში !
ყველა ქალი დედოფალია
და ყველა კაცი, თუ ის ნამდვილი ქართველია,
მეფედ არის დაბადებული !
ჰოდა, იმისთვის, რომ დედამიწას
და მთელ მის მოდგმას აბრწყინებდეს
მშვენება და სიამაყე ქართველი ერით,
საქართველოში უნდა აღსდგეს
სამეფო მთელი: ტაო-კლარჯეთით,
შიდა ქართლით და აფხაზეთით,
უნდა აღსდგეს ქართველთ სამეფოს
სილამაზე, მწველი და ძნელი,
უნდა აღსდგეს საქართველო, კავკასიონის გალავნებით,
კავკასიის სული და გული!
უნდა აღსდგეს საქართველო - სამეფო ჩვენი!
სიკეთისა და სიყვარულის ძალის მთესველი;
სამეფო ჩვენი, ერთმანეთის სიხარულით ცადამწვდენელი,
შუამდინარულ - კავკასიური ქვეყანა ჩვენი,
სამეფო ჩვენი, დიდზე-დიდი გრიგოლ ხანძთელის -
იესო ქრისტეს სიდიადის დიდმგალობელის,
თავშეწირული მაძიებლის და მებრძოლის
ლოცვის ცეცხლით, არაბთაგან გაუქმებულის,
საქართველოს სამეფო ტახტის,
მისი დიდების, წირვა-ლოცვით აღმადგენელის.
უნდა აღდგეს საქართველო საქართველოში,
დავითისა და თამარის სამეფო ჩვენი,
უნდა აღდგეს საქართველო -
მოძღვართ-მოძღვრების:
პეტრე იბერის და გელათელი დიდი პეტრიწის,
მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი   დ ი დ ი   მ ა მ ე ბ ი ს!
უნდა აღსდგეს საქართველო,
ჯ ვ ა რ ც მ უ ლ ი ს ა დ ა ს ა ღ მ რ თ ო   ე რ ი ს !
უნდა აღსდგეს საქართველო,
საკუთარი უფალივით ჯ ვ ა რ ც მ უ ლ ი ს ა დ ა ა ხ ა ლ ი ს ა ღ მ რ თ ო ე რ ი ს !
სამეფო ჩვენი, კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს !
საქართველოში უნდა აღსდგეს საქართველო,
სიყვარულით და სიდარბაისლით აღმატებული,
კაცობრიობის სიყვარულით განათებული,
ქვეყნიერების ყველა ხალხის სიყვარულით მანათობელი!
უნდა აღსდგეს საქართველო საქართველოში!
და ველურებად გამოცხადნენ ეს ახალი ჯალლედინები,
დედამიწის დაპყრობაზე მეოცნებენი:
სოროსები და ბზეჟინსკები!
ჯალლედინთა მთელი ლაშქრების დამწესებელნი,
კაცობრიობის ამოწყვეტაზე მეოცნებენი...
საქართველოში ყველა ქალი დედოფალია ,
და ყველა კაცი, თუ ის ნამდვილი ქართველია,
თამადად და მეფედ არის დაბადებული!
საქართველოში ყველა სახლი ღვთის სახლია,
დედა ღვთისმშობლის მფარველობით განათებული!
საქართველოში უნდა აღსდგეს საქართველო!
დრო-სივრცეში განმრთელებული,
განმაღრთობელი,
თავთავის წილით, მტერ-მოყვრების
სიყვარულით ამმღერებელი,
უნდა აღსდგეს საქართველო მთელი სისრულით,
და ქვეყნად ყველას, ვისაც სჭირდება ჩვენი გულის მზე,
გაუღოს კარი და დაენათოს,
დაენათოს ჩვენი ძალით,
უნაპირო ალერსისა და გულ-ალალი მასპინძლობის,
სადაც სჭირდებათ, ვისაც სჭირდება, უნდა ვასწავლოთ,
უნდა ვასწავლოთ კაცობრიობას,
სიყვარული კაცობრიობის,
ძნელად სასწავლი და ვერ ნასწავლი დანაბარები,
უწმინდესი მოძღვრება ჩვენი,
უნდა ვასწავლოთ მასპინძლობა
წუთისოფლის ლაღი სტუმრობის,
უნდა ვაჩვენოთ მოკრძალება უფლის მიმართ,
მადლიერება ყოველი წუთის,
უნდა ვაჩვენოთ მადლიერება ყოველი წუთის,
უფლისაგან წარმოგზავნილის,
და გაფრთხილება იმ დედამიწის,
რომელიც ღმერთმა - შემოქმედმა, სამძალოვანმა,
შეგვიქმნა ხატებს საკუთარ თავის,,
შეგვიქმნა ხალხებს... კაცთა მოდგმის....
უნდა ვასწავლოთ კაცობრიობას
ქალდეველთა ძველი სიბრძნე სამარადჟამო,
რომ დედამიწა კაცობრიობის სიცოცხლისთვის არის შექმნილი,
კაცობრიობით აღვსების მადლით და კურთხევით...
უნდა ვასწავლოთ „ქრისტეს ვერმიმწვდარს", კაცობრიობის გარკვეულ ნაწილს,
ადამიანის მოვლინების ფასი და ძალი,
უსასრულობის მზეებზე და ვარსკვლავებზე აღმატებულის,
უნდა ვასწავლოთ გაფრთხილება, დედამიწის
ყოველი ერთი ადამიანის,
ხატად ღვთისად დაბადებულის,
ვით მოძღვრება,
ვით მოძღვრება მოკრძალების მაღალ ღმრთისადმი....
უნდა ავკრძალოთ დედამიწაზე
მსხვრევა ხატების - როგორც ვნება,
ახალი ვნება, ბიზანტიაში ხატთმებრძოლი
სარანტჰაგების,...
ჩვენ არ დავწყევლით, ვილოცებთ მათთვის,
ვინც ვირუსი შემოგვისია,
ვინც საქართველოს,
ჯალალედინის თავმოკვეთილი ასიათასი თბილისელის
დიდ სამშობლოს, ქრისტესთვის ჯვარცმულს,
ღვთისმშობლის კალთაგადაფარებულს და დიად წარსულს,
ვირუსების შემოსევა აკადრა ხვედრად,
ვინც საქართველოს, ქრისტესთვის ჯვარცმულს,
რუსთველისა და თამარის საქართველოს
ხალხთშემცირება მიუსაჯა,
ვერაგულად და უსირცხვილოდ....
....
უნდა წავიდეთ ფშავლების მთებში,
გავაცოცხლოთ უნდა მინდია,
და სიბრძნით მისით,
ვაჟა-ფშაველას მინაგნებით,
კაცთსიძულვილის მიუგნები და მისაგნები
სამკურნალო ბალახები უნდა ვიპოვოთ...
შეუძლებელი უნდა შევძლოთ,
და კაცნი იგი ავადობით შეპყრობილნი
უნდა განვკურნოთ... უნდა ვუშველოთ...
სიყვარული უნდა ვასწავლოთ...
საქართველოში უნდა აღსდგეს საქართველო!
სოროსების და ბზეჟინსკების დანგრეული,
უნდა აღდგეს საკუთარი ჩვენი ბიბლიის -
„ვეფხისტყაოსნის" საქართველო,
როგორც დიდი კელაპტარი ჩვენი პლანეტის,
ღვთით კურთხეული კაცობრიობის სიყვარულის.
უნდა განვკურნოთ დედამიწა,
სიძულვილის წყლულით სნეული,
და სიძულვილზე გამარჯვება ვიზეიმოთ,
ქართველთ მოდგმის გულისეული.
უნდა აღდგეს ზვიადისა და მერაბის წარმართული,
ქართველი ერის ეროვნული მოძრაობა,!
უნდა აღდგეს ახალი ძალით,
უნდა აღდგეს საქართველო, ხელახალი აღმავლობით,
კაცობრიობის ახალი ცოდნით,
თვით საქართველოს ახალი ხედვით,
და სიმტკიცის ღვთიური მადლით!
დე, ნამდვილი გამარჯვება,
ვით ახალი დიდგორი და ბასიანი,
ვიზეიმოთ სვეტიცხოვლის გალავანში,
სიახლოვით და სიყვარულით საუფლო კვართის,
სიდონიას გულში ჩაკრულის,
ვიზეიმოთ დიდი ზეიმით და ნადიმით,
თავისუფალი და დიადი საქართველოს დროშის ფრიალით!
ქრისტესშობის მახარობელი დიდი მოგვების
აალებული, ცადაწვდენილი სიმღერითა და გალობით,..
საქართველოში უნდა აღდგეს საქართველო
საქართველოს უპირველესი ქრისტიანული დროშის ფრიალით!

დენიზა სუმბაძე

პარალელური სამყაროები - მითი თუ რეალობა?!

პირველი არაპირდაპირი ცნობები პარალელური სამყაროს შესახებ გვხვდება ძველი დროის რომაელი და ბერძენი ფილოსოფოსების ნაშრომებში. კაცობრიობის განვითარებით, სამეცნიერო ინფორმაცია გამუდმებით გროვდებოდა, იზრდებოდა ფენომენების სია, რომელთა ახსნა შეუძლებელია მეცნიერული თვალსაზრისით, შეიქმნა უფრო ზუსტი სურათი ჩვენს გარშემო არსებულ სამყაროზე. დღეს ბევრი ექსპერტი მზადაა, უპირობოდ მიიღოს სხვა სამყაროების არსებობის თეორია. სამი ათეული წლის წინ ქალაქ კენტში სიცილის ოთახში რამდენიმე მოზარდი უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა. 1998 წელს იქიდან ერთმანეთის მიყოლებით შესული ოთხი ახალგაზრდა არ გამოსულა. სამი წლის შემდეგ კიდევ ორი ბავშვი გაუჩინარდა, მერე კიდევ რამდენიმე. პოლიციამ რა არ იღონა, მაგრამ ბავშვების გატაცების ვერანაირ კვალს ვერ მიაგნო. ამ ისტორიაში ბევრი უცნაურობაა, – ამბობდა დეტექტივი შონ მერფი. მაგალითად, ყველა გაუჩინარებული ერთმანეთის ნაცნობი იყო და ისინი თვის ბოლო მეოთხედში ქრებოდნენ. ყველაზე მეტად სავარაუდოა, რომ იქ სერიული მანიაკი „ნადირობს”. მერფის ვერსიით, დამნაშავე სიცილის ოთახში რომელიღაც საიდუმლო შესასვლელით აღწევდა, რომელიც ოპერატიულმა მუშაკებმა ვერ აღმოაჩინეს. გამოძიებამ ვერაფერი დაადგინა – თითქოს ბავშვები ჰაერში აორთქლდნენ.



საიდუმლოთი მოცული დაწესებულების დახურვის შემდეგ გაუჩინარებები შეწყდა — იმ სამყაროში გასასვლელი ერთ-ერთ სარკეში იყო, – ამტკიცებდა მეცნიერი დამა ფორსაიტი. როგორც ჩანს, სარკის ამოქმედება მხოლოდ მეორე მხრიდან იყო შესაძლებელი. ალბათ, ვიღაცამ შემთხვევით გააღო გასასვლელი ზუსტად მაშინ, როდესაც ბავშვები პირველად გაუჩინარდნენ, ხოლო გაუჩინარებულ ბავშვებს იქ თავისი მეგობრები შეჰყავდათ. მრუდე სარკეებს აკვირდებოდა ასევე პროფესორი ერნესტ მულდაშევი ტიბეტური პირამიდების გამოკვლევის დროს. მისი აზრით, ბევრი ასეთი გიგანტური კონსტრუქცია სხვადასხვა ზომის გამოზნექილი, ნახევრად მრგვალი და ბრტყელი ქვის კონსტრუქციის შერწყმითაა მიღებული, რომელთაც მეცნიერებმა „სარკეები“ უწოდეს გლუვი ზედაპირის გამო.

მოცემული მოქმედების ზონაში მულდაშევის ექსპედიციის წევრები თავს მაინცდამაინც კარგად ვერ გრძნობდნენ, ზოგი თითქოს ბავშვობაში დაბრუნდაო,ზოგი კი გრძნობდა, რომ სხვა ადგილას იყო, თითქოს უცნობ გარემოში მოხვდა. პროფესორი თვლის, რომ პირამიდებთან ახლოს მყოფი „სარკეების“ მეშვეობით შეიძლება დროის სვლის შენელება და სივრცის მართვა. უძველესი თქმულებების თანახმად, ასეთი კომპლექსები პარალელურ სამყაროებში გადასასვლელად გამოიყენებოდა და მულდაშევის აზრით, ეს სრულ ფანტაზიად არ შეიძლება მივიჩნიოთ. შეზნექილი სარკეების თავისებურებები მეცნიერულად დამტკიცებულია. მათზე პირველ ექსპერიმენტებს ფლორენციის აკადემიკოსები მეჩვიდმეტე საუკუნეში ატარებდნენ.

მეოცე საუკუნეში შეზნექილ სარკეებზე ბევრ ექსპერიმენტს ატარებდა პულკოვოს პროფესორი ნიკოლაი კოზირევი. ალუმინის შეზნექილი სარკეების სპეციალურმა სისტემამ მიიღო „კოზირევის სარკეების“ სახელწოდება. პროფესორის მიერ წარმოთქმული ჰიპოთეზის თანახმად, ამ სარკეებს სხვადასხვა სახის გამოსხივების ფოკუსირება შეუძლიათ, მათ შორის ბიოლოგიური ობიექტებისაც. დღესდღეობით „კოზირევის სარკეების“ და „კოზირევის სივრცეების“ თავისებურებების გამოკვლევით დაკავებულნი არიან ნოვოსიბირკის მკვლევარები.

„კოზირევის სარკეებზე“ ჩატარებული ექსპერიმენტების მიმდინარეობის დროს გამოჩნდა რამდენიმე საოცარი ეფექტი. მაგალითად, ამ სარკეების ფოკუსში ხშირად ხვდება პლაზმოიდები – ამო-ს ან სფეროსებური ელვის მსგავსი ობიექტები… სხვა, არანაკლებ დამაინტრიგებელი ფენომენი დაკავშირებულია დროის ანომალიებთან… ერთ-ერთი თვალსაზრისით, პარალელურ სამყაროში გადასასვლელი პორტალი შეიძლება ენერგიის მასიური გამოტყორცნისას გაიღოს, მაგალითად, ჭექა-ქუხილის დროს.

რუსეთში, კერძოდ კი სანკტ-პეტერბურგის გარეუბანში, ასეთი შემთხვევაა დაფიქსირებული, სამი მეგობარი მანქანით სათევზაოდ წავიდა და ქარიშხალში მოყვა. როგორც ალექსანდრ ვოლჟანინი იხსენებს, ის საჭესთან იჯდა — ელვის მორიგმა განათებამ მას თვალები აუჭრელა, მანქანამ მიმართულება შეიცვალა, გზიდან გადავიდა და უკანა კარით ფიჭვს დაეჯახა. ამ კართან მჯდომ სემენ ელბმანს ხელი გაეჭრა შუშის ნამტვრევებით, ხოლო ვოლჟანინი და მესამე მეგობარი უვნებელი გადარჩნენ. რა ექნათ, არ იცოდნენ. ამ დროს დაინახეს პატარა სოფლის სახლი, რომელიც აქამდე არასდროს ენახათ. მეგობრები ამ სახლისკენ გაეშურნენ. კარი ერთმა პატარა გამხდარმა ქალმა გააღო, რომელმაც უკითხავად შემოუშვა სტუმრები სახლში. მოხუცმა სტუმრები დააპურა, დაშავებულს ჭრილობა დაუმუშავა და იატაკზე საწოლები გაუშალა. დაღლილებს დაწოლისთანავე დაეძინათ, ხოლო როდესაც დილას გაიღვიძეს, ნახეს, რომ ბალახზე გაშოტილიყვნენ ფიჭვისგან და მის ქვეშ მდგომი დამტვრეული მანქანისგან ცოტათი მოშორებით. სახლი და მოხუცი ქალი გამქრალიყვნენ.

ერთხელ, ერთი სოფლის მაცხოვრებელი ქალი ტყეში სოკოს კრეფდა, როდესაც გულის არეში მსუბუქი ჩხვლეტა იგრძნო. ქალმა ტაბლეტი დალია, მიმოიხედა და მიტოვებულ ეკლესიასთან აღმოჩნდა, სახლიდან ხუთ კილომეტრში. საათზე დაიხედა, მისი გასეირნება თხუთმეტ წუთზე მეტს არ გაგრძელებულა, სამაგიეროდ, უკან დაბრუნებას მოანდომა ორი საათი.



უფრო საოცარი ისტორია საშა ბელიკოვთანაა დაკავშირებული. მოზარდი, ყინვის მიუხედავად სასეირნოდ წავიდა ტყეში და სამი დღე-ღამე არ დაბრუნებულა, იგი მეოთხე დღეს გამოჩნდა.-არ ვიცი რა მოხდა. უბრალოდ აღმოვაჩინე, რომ ვიწექი თოვლზე და მივხვდი, რომ რამდენიმე საათის წინ დავკარგე გონება, რადგან უკვე შებინდებულიყო და სახლში გამოვიქეცი. როდესაც ბიჭი სახლში შემოვიდა, დედას კინაღამ გული წაუვიდა – ის მთლიანად სისხლში იყო მოთხვრილი, მაგრამ აღმოჩნდა რომ ეს სისხლი სხვისი იყო, მას მხოლოდ რამდენიმე ნაკაწრი ჰქონდა.

1950 წელს მანქანამ ადამიანი წინა საუკუნის ტანსაცმლით გაიტანა, ტაიმ-სკვერში, ლონდონში. სკოტლენდ-იარდის დეტექტივებმა აღმოაჩინეს, რომ ეს ადამიანი უგზო-უკვლოდ დაიკარგა 1879 წელს.

1960 წელს ონტარიოში რამდენიმე დღით ბიჭი გაქრა. იგი იმავე ადგილას იპოვეს. მას ყველაფერი ახსოვდა, გარდა გაქრობისა.

1968 წელს, არგენტინაში, ექიმი ვიდალი, ცოლთან და მეგობრებთან ერთად ორი მანქანით, ჩასკომუსის ქუჩიდან დიდ ზეიმზე მიემართებოდა. მეგობრები წინ იყვნენ, ვიდალის ოჯახი უკან. თუმცა, საზეიმო ადგილამდე მათ ვერ მიაღწიეს, რამაც მათი მეგობრები ძალიან შეაწუხა. ორგანიზებულმა ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო, ვერც მანქანები იპოვეს, ვერც ხალხი. ორი დღის შემდეგ ექიმმა ვიდალმა ახლობლებს დაურეკა მეხიკოდან, არგენტინის საელჩოდან. აღმოჩნდა, რომ იმ ღამეს ისინი უეცრად სქელ, გამოუვალ „ნისლში“ მოხვდნენ. როდესაც ცოლ-ქმარი გონზე მოვიდნენ, მათი მანქანა გზაზე იდგა, უცხო ადგილას. გამვლელებისგან გაარკვიეს, რომ ჩასკომუსიდან, არგენტინიდან ექვსი ათას კილომეტრში იმყოფებოდნენ. ვიდალებმა წვრილმანები ვერ გაიხსენეს, რადგანაც გათიშულები იყვნენ. მომხდარის ახსნა ვერა და ვერ მოხერხდა.

ხშირად ადამიანებს უჩნდებათ განცდა, რომ უკვე შეხვდნენ კონკრეტულ ადამიანს, ან უკვე მოისმინეს გარკვეული ფრაზა. ასეთ შემთხვევებში გაგებისა და დამახსოვრების ყველა მცდელობა უშედეგოა, რადგან ეს რაღაც მომენტში მოხდა. ამ შემთხვევაში ხდება რამდენიმე სამყაროს კონტაქტი და ხდება იდუმალი მოვლენები, რომლებიც ეწინააღმდეგება რაციონალურ ახსნას. საკითხი საკამათოა. თუმცა თავად აინშტაინი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენს გვერდით არის სხვა სამყარო. სამყარო, რომელიც ჩვენი სამყაროს სარკეა. ვლადიმერ არშინოვის თქმით, ის რაც წარმოუდგენლად გამოიყურება, სავსებით შესაძლებელია მრავალგანზომილებიან სივრცეში. ფიზიკოსი, პროფესორი კრისტოფერ მონრო დიდი ხანი სწავლობდა პარალელური სამყაროების არსებობის საკითხს. მან ექსპერიმენტულად დაამტკიცა ატომურ დონეზე ორი რეალობის ერთდროული არსებობის შესაძლებლობა. ფიზიკის კანონები არ უარყოფს ვარაუდს, რომ სხვა სამყაროები შეიძლება ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული გვირაბით. კვანტური გადასვლები... ანუ თეორიულად შეიძლება ერთი სამყაროდან მეორეში გადაადგილება ენერგიის შენარჩუნების კანონის დარღვევის გარეშე. მაგრამ ეს მოითხოვს ენერგიის ისეთ რაოდენობას, რომელიც არ არის დაგროვილი მთელ გალაქტიკაში. მაგრამ არის კიდევ ერთი ვარიანტი, არსებობს ვერსია, რომ შავი ხვრელები მალავენ გადასასვლელებს სხვა სამყაროებში. ისინი შეიძლება იყვნენ ერთგვარი „ძაბრები“, რომლებიც იწოვენ მატერიას. კოსმოლოგების აზრით, რეალურად ისინი შესაძლოა აღმოჩნდნენ „ჭიის ხვრელები“, ესე იგი გზა ერთი სამყაროდან მეორეში და უკან. მეცნიერი ვლადიმერ სურდინი თვლის, რომ ბუნებაში შეიძლება არსებობდეს სივრცე-დროის სტრუქტურები ჭიის ხვრელების სახით, რომლებიც აკავშირებენ ერთ სამყაროს მეორესთან. მათემატიკა პრინციპში მათ არსებობის საშუალებას აძლევს. ასეთი „ხვრელების“ შესაძლო არსებობას არ უარყოფს პროფესორი დიმიტრი გალცოვი. მაგრამ ისინი ჯერ არავის უნახავს, ისინი ჯერ არ არის ნაპოვნი...

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

საერთო გაზეთის „იურიდიული კონსულტაცია“

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი მთვარისა კევლიშვილი. ტელ.: 593 78-64-69

- ჩემი გარდაცვლილი მეუღლის სამკვიდრო მდებარეობს ჩოხატაურის რაიონში. მე ვცხოვრობ თბილისში. შემიძლია თუ არა, მემკვიდრეობა მივიღო თბილისის სანოტარო ბიუროში?

- დიახ, შეგიძლიათ.

* * *

- მე, როგორც გარდაცვლილის და, ვითვლები თუ არა პირველი რიგის მემკვიდრედ?

- სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, პირველი რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან მშობლები და ცოლ - შვილი. და არის მეორე რიგის მემკვიდრე.

* * *

- ჩემი ქონების ნაწილი ნაწილი გაყალბებული საბუთით მიიღო სხვა პირმა. მივმართე პროკურატურას, საიდანაც მიპასუხეს, რომ აღნიშნული საქმე მიეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების საქმეს. რამდენად კანონიერია პასუხი?

- არ ვიცნობ საქმის მასალებს. თანაც პროკურატურამ უკვე გაგცათ პასუხი. შეგიძლიათ, მიმართოთ სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

* * *

- ვარ დაზარალებული ერთ - ერთ სისხლის სამართლის საქმეზე. ავიყვანე ადვოკატი, რომელმაც მითხრა, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით მხარე და, შესაბამისად, ვერ ვისარგებლებთ სასამართლოში მხარეთა უფლებამოსილებებით. რამდენად სწორია ადვოკატის ნათქვამი? და ვინ არიან მხარეები სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას?

- თქვენი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა პროფესიონალურად, კეთილსინდისიერად და სამართლებრივად სწორად განგიმარტათ თქვენთვის საინტერესო საკითხი.

სამწუხაროდ, დაზარალებული, ასევე დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე არ წარმოადგენს მხარეს და, აქედან გამომდინარე, ბევრად შეზღუდულია მათი პროცესუალური უფლებები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესში მხარეს წარმოადგენს: ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადოკატი, გამომძიებელი, პროკურორი.

ჩამოთვლილთაგან, ბრალდების მხარეა გამომძიებელი და პროკურორი, ხოლო დაცვის მხარეს მიეკუთვნებიან ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი.

* * *

- ხდება თუ არა სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმული ასაკის გამო?

- ხდება. წარმოგიდგენთ შესაბამის კანონის ნორმას სისხლის სამართლის კოდექსიდან.

მუხლი 74. სასჯელისაგან გათავისუფლება ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო

1. სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს მსჯავრდებული, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა შეუსაბამოა სასჯელის მოხდასთან და, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მსჯავრდებულის გამოჯანმრთელება ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებული, თუ მას აქვს დაავადება ან დაავადებათა ერთობლიობა და მკურნალობის ფონზე მისი ძირითადი სასიცოცხლო მაჩვენებლების შენარჩუნება გართულებულია, ამასთანავე, ექიმთა კონსილიუმის მიერ კონსენსუსის საფუძველზე განსაზღვრული ლეტალურობის პროგნოზი მაღალია.

3. ამ მუხლის საფუძველზე სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებულ მსჯავრდებულს, გამოჯანმრთელების შემთხვევაში, შეიძლება კვლავ დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და დაენიშნოს სასჯელი, თუ არ გასულა ამ კოდექსის 71-ე და 76-ე მუხლებით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები.

4. სასამართლო უფლებამოსილია სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გაათავისუფლოს სასჯელის მოხდის პერიოდში ხანდაზმულობის ასაკს მიღწეული პირი (ქალი — 65 წლიდან, მამაკაცი — 70 წლიდან), თუ მას სასჯელის სახით დანიშნული არ აქვს უვადო თავისუფლების აღკვეთა და მოხდილი აქვს სასჯელის არანაკლებ ნახევარი.

5. ამ მუხლის პირველი და მე-4 ნაწილებით განსაზღვრული საკითხების განხილვისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის აღსრულების მიზანშეწონილობა, მსჯავრდებულის პიროვნება, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დანაშაულის ხასიათი, მოტივი, მიზანი, დამდგარი შედეგი, დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი, მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდისას გამოვლენილი ქცევა და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე.

6. სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლების ამ მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები არ ვრცელდება ამ კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სასჯელზე.

7. ამ მუხლის საფუძველზე მსჯავრდებულის სასჯელის შემდგომი მოხდისაგან გათავისუფლებისას შესაძლებელია იგი დამატებითი სასჯელის მოხდისაგანაც გათავისუფლდეს.

* * *

- ჩემი ქალიშვილი 2021 წლის ივნისის თვეში გათხოვდა. ისინი განქორწინებას აპირებენ. ეკუთვნის თუ არა ჩემს ქალიშვილს ქმრის ქონებიდან წილი?

- რამდენადაც ჩვენი სატელეფონო საუბრიდან გაირკვა, ახლადსეუღლებულებს ქორწინების განმავლობაში ერთობლივად არაფერი შეუძენიათ, ასევე, სახლ - კარი, რომელზედაც პრეტენზია გაუჩნდა რძალს, ირიცხება არა მეუღლის, არამედ, მისი მშობლების საკუთრებაში. შესაბამისად, თქვენი ქალიშვილი განქორწინების შემდეგ ვერაფერს მიიღებს. აქვე დავძენ, რომ ქონება, თუ ერთად ცხოვრების მანძილზე არ იქნა შეძენილი / იგულისხმება რეგისტრირებული ქორწინება მხოლოდ-დამხოლოდ!/თუნდაც, რიცხული ყოფილიყო მეუღლის საკუთრებაში, გაყოფას მაინც ვერ დაექვემდებარებოდა. ასევე, ჩვენი საუბრიდან გაირკვა, რომ თქვენი ქალიშვილი არც ფეხმძიმედაა, მომავალ შვილთან დაკავშირებით რომ გარკვეული თემები განგვეხილა.

* * *

- ყველაფერი მაინტერესებს განქორწინების რეგისტრაციის შესახებ.

განქორწინების რეგისტრაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ:

• იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს;

• სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს;

• საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო წარმომადგენლობას;

მეუღლეთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციისთვის, უფლებამოსილ ორგანოში წარსადგენი დოკუმენტებია:

• განსაქორწინებელ პირთა ერთობლივი წერილობითი განცხადება;

• განსაქორწინებელ პირთა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები;

• ქორწინების მოწმობა;

ერთ - ერთი მეუღლის მიერ განქორწინების რეგისტრაციის თაობაზე წარდგენილ განცხადებას, საფუძვლის გათვალისწინებით, ასევე უნდა დაერთოს ქვემოთ მოცემული ერთ - ერთი დოკუმენტი:

• განქორწინების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

• მეორე მეუღლის უგზო - უკვლოდ დაკარგულად ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

• მეორე მეუღლის ქმედუუნაროდ ცნობის შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (თუ აღნიშნული პირი 2015 წლის 1 აპრილამდე ცნობილია ქმედუუნარო პირად);

• მეორე მეუღლისათვის არანაკლებ 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შესახებ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი;

შენიშვნა: თუ განცხადებას წარადგენს განქორწინების მსურველი პირის წარმომადგენელი, აღნიშნულ დოკუმენტებს ასევე უნდა დაერთოს წარმომადგენლის პირადობის და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი:

ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები უფლებამოსილ ორგანოებს უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით. დოკუმენტების წარმოდგენა აუცილებელი არ არის, თუ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას.

ასევე აუცილებელია, სხვა სახელმწიფოში გაცემული (დამოწმებული) დოკუმენტები (გარდა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებისა) წარდგენილი იქნას სათანადო წესით ლეგალიზაციის ან აპოსტილით დამოწმების შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებულ თარგმანთან ერთად, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

განქორწინების რეგისტრაცია შესაძლებელია განხორციელდეს წარმომადგენლის საშუალებით, შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

• სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა;

• მინდობილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

განქორწინების რეგისტრაცია ხორციელდება განცხადების წარდგენიდან 5 სამუშაო დღის გასვლისთანავე.

განქორწინების რეგისტრაციისა და მოწმობის გაცემისათვის მომსახურების საფასური წარმოადგენს 45 ლარს.

განქორწინების რეგისტრაციისთვის დადგენილი საფასურის გადახდისგან თავისუფლდებიან:

• იძულებით გადაადგილებული, დევნილად ცნობილი პირები - სრულად;

• სტუდენტები, რომლებზეც გაცემულია პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა აღნიშვნით „სტუდენტი“ - 10% - იანი შეღავათით.

* * *

- ადათ-წესებს ითვალისწინებს თუ არა ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა?

- დიახ, ასეთს ითვალისწინებს ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა გარკვეული დათქმით. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.

იმპერატორ ცი შიხუანდის ტერაკოტის არმია

ზოგიერთი არქეოლოგიური აღმოჩენა ისტორიის სვლას ძირეულად ცვლის. სწორედ ამიტომ, ისტორიკოსები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ასეთ აღმოჩენებს.

ჩინეთის ტერაკოტის არმია

მე-20 ს-ის 70-იან წლებში ჩინეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს იმპერატორ ცინ შიხუანდის თიხისგან დამზადებული ტერაკოტის არმია, რომელიც სენსაციად იქცა და მსოფლიოს მერვე საოცრებადაც კი აღიარეს.

დღეისათვის ტერაკოტის არმია, ჩინეთის დიდ კედელთან ერთად, ამ ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ღირსშესანიშნაობაა.

იმპერატორ ცინ შიხუანდის არმია

1974 წელს ქალაქ სიანის მადლობლად იპოვეს თიხისგან შესრულებული ტერაკოტის არმია, რომელიც იმპერატორის აკლდამის გვერდით იყო განლაგებული და ძველი ჩინელების რწმენით, იმპერატორი უნდა დაეცვა მიღმიერ სამყაროში.

საინტერესოა, რომ არმია 8100 თიხის ჯარისკაცისგან და ცხენისგან შედგება. ამ ქანდაკებების გარდა, ნაპოვნია ბრინჯაოსგან დამზადებული ათასობით სხვადასხვა სახის იარაღი.

თიხის არმია იმპერატორ ცინ შიხუანდისთან ერთად ჩვ.წ. აღმდე 210 წელს დაკრძალეს. ამ თიხის ფიგურების გარდა, ნაპოვნია 70 000 მუშისა და მათი ოჯახის წევრების, ასევე იმპერატორის 48 ხარჭის სხეულის ნარჩენები. ექსპერტების დასკვნით, ისინი ცოცხლად დამარხეს, რათა არმიის დამზადების საიდუმლო არ გაეცათ.

არმიის შექმნა

ტერაკოტის ქანდაკებები ჩინეთის ცინის დინასტიის პირველ იმპერატორთან ცინ შიხუანდისთან ერთად დამარხეს, რომელმაც ჩინეთი და ჩინეთის კედლის ყველა რგოლი გააერთიანა.

ისტორიკოსის ცნობით, ტახტზე ასვლიდან (246 წ. ჩვ.წ. აღ-მდე) ერთი წლის შემდეგ, 13 წლის იმპერატორმ, ა დაიწყო თავისი აკლდამის აგება.

მისი ჩანაფიქრით, ქანდაკებები იმქვეყნადაც მასთან უნდა ყოფილიყვნენ და მისი ამბიციები დაეკმაყოფილებინათ.

მავზოლეუმს 770 ათასი ადამიანი აგებდა 38 წლის განმავლობაში. თუმცა, ტრადიციისგან განსხვავებით, ცოცხლების ნაცვლად, იმპერატორთან ერთად თიხის ჯარისკაცები დამარხეს, ზოგიერთი მონაცემით, მას თან მაინც ჩააყოლეს 70 ათასი მუშა ოჯახის წევრებთან ერთად.

ძირითადი ცნობები

ქანდაკებები 1974 წელს აღმოაჩინეს ადგილობრივმა გლეხებმა ლიშანის მთის აღმოსავლეთით, რომლებიც ჭაბურღილს ბურღავდნენ. ეს მთა ცინის დინასტიის პირველი იმპერატორისთვის ადამიანის მიერ შექმნილი ნეკროპოლია. სწორედ ამ მთიდან იღებდნენ ქანდაკებებისთვის საჭირო მასალას.

გათხრები 1978–1984 ხდა 1986–5–1986 წლებში მიმდინარეობდა, 2009 წელს კი მესამე ეტაპი დაიწყო.

თიხის ჯარისკაცები იმპერატორის აკლდამიდან 1,5, კმ-ის დაშორებით პარალელურ აკლდამებშია განლაგებული. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქანდაკება უნიკალურია, თითოეულ ფიგურას საკუთარი ფორმა, ეკიპირება და სახე გააჩნია. ჯარისკაცებს შორის არიან რიგითები, მეისრეები, კავალერისტები და მთავარსარდლები. შედარებით შორს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მუსიკოსების, აკრობატებისა და სახელმწიფო მოხელეების ქანდაკებები.

ჩინელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ფიგურების უმრავლესობა და ეტლები თიხისგან არის დამზადებული, ზოგიერთი ჯარისკაცის შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა — ცნობილი არ არის, საიდან ჩამოიტანეს ისინი, თითოეული მათგანი ხომ 130 კგ-ს იწონის.

მეცნიერები დღემდე იმტვრევენ თავს იმაზე, როგორ ხდებოდა ფიგურების გამოწვა, რადგან ახლომახლო ღუმელები ვერ აღმოაჩინეს. ამასთან, თითოეული ფიგურა დაფარულია მინანქრითა და საღებავით.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო გამოცანა: 2000 წელზე მეტი ხნის შემდეგაც კი რატომ არ დაბლაგვდა და გაუფერულდა იარაღი? ექსპერტიზამ უჩვენა, რომ ლითონის შემადგენლობაში, რომლისგანაც მეტალის ნივთებია დამზადებული, შედის ქრომი. მაგრამ როგორ? მისი გამოყენება ხომ მხოლოდ მე-20 ს-ში დაიწყეს? ნუთუ ძველი ჩინელები უმაღლეს ტექნოლოგიებს ფლობდნენ? თითოეული იარაღი ხომ უმაღლეს დონეზეა დამზადებული?

საოცარია მავზოლეუმთან ნაპოვნი 2 ცალი ბრინჯაოს ეტლი. მათში შებმულია ოთხ-ოთხი ცალი არაჩვეულებრივი ცხენი, რომლებიც იმქვეყნიურ სამყაროში მოგზაურობისთვის იყო განკუთვნილი. თითოეული ეტლი 3000 ელემენტზე მეტისგან არის დამზადებული, რომლებიც ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს. ბრინჯაოს გარდა, დეტალები დამზადებულია ვერცხლისა და ოქროსგან.

იმპერატორის გარდაცვალებიდან მოკლე ხანში მის აკლდამაში ხანძარი გაჩნდა და აკლდამა გაძარცვეს კიდეც. უძველესი ცნობებით, იქ დიდი რაოდენობით სამკაულები, მონეტები და სხვა ძვირფასეულობა იყო.

ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ იმპერატორ ცინ შიხუანდი ამ აკლდამაში კი არა, სულ სხვაგან არის დაკრძალული.

პოპულარობა და მნიშვნელობა

1987 წელს იუნესკოს სესიაზე ტერაკოტის არმია შეიტანეს მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობაში. ჩინურ ობიექტებს შორის ეს პირველი არტეფაქტია, რომელიც ამ სიაში მოხვდა.

მის სანახავად მისულები იყვნენ აშშ-ის პრეზიდენტები რონალდ რეიგანი და ბილ კლინტონი ოჯახებით, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეთ II პრინც ფილიპესთან ერთად.

ტერაკოტას არმია დღეს

დღეისათვის გათხრები შეჩერებულია, რადგან ლეგენდის თანახმად, იმქვეყნიურ სამყაროში იმპერატორს ვერცხლისწყლის მდინარეები უნდა ახლდეს თან.

ყოველი შემთხვევისთვის, მეცნიერებმა გადაწყვიტეს ამ ვერსიის შემოწმება, რათა თავიდან აეცილებინათ უსიამოვნებები.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

განცხადება

პარასკევს, 10 ივნისს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში გაიმართება

თამაზ წივწივაძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

აგრეთვე, თამაზ წივწივაძის სახელობის ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის — „ფრთხილად, წინ მკითხველია“ — გამარჯვებულთა დაჯილდოება.

დასაწყისი 16.00 საათზე

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99